სტრატეგიული განვითარების სამოქმედო

გეგმის მონიტორინგისა და შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი
ანგარიშის შედგენის თარიღი	2019 წლის 8 სექტემბერი

აქტივობა 1.1.1	**საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად შესაბამისი ორგანიზაციის შერჩევა და პროცედურის ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით შეგროვდა რაოდენობრივი მონაცემები, გამოიკითხა საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირები, დეკანები (23). გაანალიზდა შესაბამისი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სამიზნე პოპულაციის მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოების მოძიებისა და შესაბამისი პროცედურის ორგანიზების მიზნით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 1.1.2	**პროგრამებისა და მათი განხორციელების ხარისხის შეფასება და უკუკავშირის უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, დეკანები (46). გაანალიზდა შეფასების ფორმები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევებით დადგენილია, რომ საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა აკადემიური პროგრამის შიდა და გარე შეფასება. მომზადდა და აკრედიტაცია მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან პროგრამას. ხარისხის გარე შეფასების მიზნით, ზემოაღნიშნული პროგრამები შეაფასეს შესაბამისი დარგის ექსპერტებმა/დოქტორებმა, რომელთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფებმა გამოიყენეს პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის/აკრედიტაციის საბჭოს მიერ გამოთქმული რეკომენდაციები/შენიშვნები უმეტესწილად გაიზიარა უნივერსიტეტმა და მოახდინა მათი იმპლემენტაცია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში. ხარისხის შიდა შეფასების განსახორციელებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყენებს უნივერსიტეტის როგორც ადამიანურ, ისე, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პროგრამის (ნექსუსი) მეშვეობით მიიღო და გაანალიზა აკადემიური პროგრესის შესახებ საჭირო ინფორმაცია, დაადგინა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხარისხი (ელექტრონული პროგრამის ფარგლებში);

	სხვადასხვა ფორმატის (მათ შორის, ელექტრონული) კითხვარებით, რეგლამენტით დადგენილ ვადებში, გამოიკვლია კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების ხარისხი. პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასების და კვლევების შედეგად, ვლინდება დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია სტუდენტთა პოზიტიური შეფასებები უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დასაქმების/მოწვევის შესახებ, ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერისა და ინდივიდუალური მიდგომის შესახებ, ონლაინ ბიბლიოთეკის დახმარებით სასწავლო მასალაზე მარტივი წვდომის შესახებ და სხვ. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ლექტორები ინფორმირებული არიან სტუდენტთა შეფასების შედეგების შესახებ და გამოთქმული აქვთ საკუთარი დამოკიდებულება ამ შედეგების მიმართ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა იღებს სტუდენტთა შეფასებას და გეგმავს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებას. შეფასებაში ჩართულია სტუდენტთა 30 პროცენტზე მეტი. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გაძლიერება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რასაც ყველა პროგრამის სტუდენტი არაერთხელ აღნიშნავს თავიანთ კომენტარებში. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

ტივობა 1.1.3	**სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზი დიაგნოსტიკური მატრიცების საშუალებით და შედეგების საფუძველზე, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი/ ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში სტრუქტურირებული, დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სკოლის დეკანები, სულ 102 წევრი, შეჯამდა სამიზნე პოპულაციის მოსაზრებები. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: დიაგნოსტიკური მატრიცების/შეფასების ფორმები. მომზადებული ანგარიშები, აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებები და სხვა.

<table>
<tr>
<td>**კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)**</td>
<td>
გამოკითხულთა შეფასებითა და ჩატარებული კვლევის შედეგებით, დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების ფორმები/დიაგნოსტიკური მატრიცები, რომლის მიხედვით, ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, ადგენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დონეს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შესაბამის ანგარიშს წარუდგენს სკოლებს, მომზადებული ინფორმაცია, ასევე, გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ კომიტეტს.
მოკვლეული მასალების შედეგად, 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების შედეგები ასეთია:
<table>
<tr><th>შეფასება</th><th>2018-2019</th><th></th><th></th></tr>
<tr><td>A</td><td>8%</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>B</td><td>15%</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>C</td><td>22%</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>D</td><td>25%</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>E</td><td>29%</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>F-FX</td><td>1%</td><td></td><td></td></tr>
</table>
აღნიშნული მონაცემებით დასტურდება, რომ საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხი, ზოგადად, დამაკმაყოფილებელია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს დაევალათ აკადემიური მუშაობის გაღრმავება ცალკეულ სტუდენტებთან მიმართებით.
დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულებულდა სრულად
</td>
</tr>
</table>

აქტივობა 1.1.6	**პროგრამების განხორციელების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მომზადება და წარდგენა აკადემიური კომიტეტის სხდომებზე.**

მონიტორინგის პერიოდი	**2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შესწავლილი მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელები წარადგენენ ინფორმაციას პროგრამის განხორციელების შესახებ, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შერჩევით ახდენს ცალკეული პროგრამის მონიტორინგს სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლებისა და მათი გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით - რამდენად შესრულდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა-მატრიცით გათვალისწინებული აქტივობები, განხორციელდა თუ არა სასწავლო თემატიკა სრულად, პროგრამის საგანმანათლებლო შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იყო თუ არა შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდებით, სასწავლო და ადამიანური რესურსებით, გააანალიზა დისციპლინის შეფასების მაჩვენებლები სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით და ა.შ. საგანმანათლებლო პროცესისა და რესურსების უწყვეტი შეფასებისა და განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის რეგლამენტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი განსახორციელებელი აქტივობები შესრულების ვადების მითითებით. ყოველწლიურად ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც სრულად მოიცავს იმ ღონისძიებათა სპექტრს, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესისა და რესურსების შეფასებისა და განვითარებისთვის. შედეგებს განიხილავს აკადემიური კომიტეტი და პროგრამის შემდგომი განვითარების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინადადებების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს. 2018 წლის ოქტომბერში ჩატარდა აკადემიური კომიტეტის სხდომა, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარადგინა შესაბამისი ანგარიშები პროგრამების განხორციელების შესახებ. კომიტეტზე მიღებული გადაწყვეტილებები შესასრულებლად გადაეცა სკოლებს.

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 1.1.7	**ინტეგრირებული და ერთობლივი საგანამანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა და განხორციელება (სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, ბიზნესის ადმინისტრირება, ფსიქოლოგია)**
მონიტორინგის პერიოდი	**2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	ფოკუსჯგუფი, დოკუმენტების ანალიზი შესაბამისი სამიზნე ჯგუფის - საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დეკანატების წარმომადგენლების, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების (სულ 23) გამოკითხვით შესაძლებელი გახდა გაწეული საქმიანობის იდენტიფიცირება და შედეგების გაანალიზება. შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მოკვლეული მასალების შესაბამისად, დადგინდა, რომ გრუნი აგრძელებს თანამშრომლობას ვებსტერის უნივერსიტეტთან ერთობლივი, ინტეგრირებული პროგრამების მოსამზადებლად. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა და პირველი მოსამზადებელი სამუშაოები/შეხვედრები უკვე გაიმართა გრუნის რექტორთან, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრთან და დეკანებთან. ინტენსიური ერთობლივი თანამშრომლობისა და გაწეული სამუშაოების შედეგად სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის პერიოდულად იმართება ვებსტერის უნივერსიტეტის პროგრამების პრეზენტაცია და შეთავაზებას იღებენ სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება. ამავე დროს დაიწყო კომუნიკაცია საფრანგეთის უნივერსიტეტებთან. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად.**

აქტივობა 1.1.8	**შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება, ანალიზი და პროგრამებში კორექტივების შეტანა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, ფოკუსჯგუფი, დოკუმენტების ანალიზი. საანგრიშო პერიოდში აღნიშნული საკითხის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები: დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი -

	სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, სკოლის დეკანები, სულ 74 წევრი; ფოკუსჯგუფის მეთოდით შეჯამდა სამიზნე პოპულაციის მოსაზრებები, შეფასდა უკვე გატარებული ღონისძიებები. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევები და სხვა ფუნდამენტური კვლევები, აკადემიური პროგრამები; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელები პროგრამების მიხედვით და ა.შ.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებითა და ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტს შრომის ბაზრის კვლევის, ანალიზისა და შესაბამისად, პროგრამებში კორექტივების შეტანის მიზნით გაწეული აქვს მნიშვნელოვანი სამუშაოები, კერძოდ: საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურმა განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა მედიცინისა და სამართლის მიმართულებებით, კვლევის ანალიზის შედეგები დაედო საფუძვლად: მედიცინის ახალი, ინგლისურენოვანი პროგრამის მომზადებას; სამართლის საგანმანათლებლო პროგრამაში კორექტივების შეტანას. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული სამსახურის მიერ განხორციელდა კვლევა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. კვლევის ფარგლებში, აღწერის პრინციპის საშუალებით, არსებული ნუსხის შესაბამისად, განხორციელდა უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლების შერჩევა და მათთან დაკავშირება. 80 ორგანიზაციიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 58-მა. მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებელთა მიერ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შრომისნაყოფიერების შეფასება. აღნიშნული ორგანიზაციები, კითხვაზე - კმაყოფილი ხართ, თუ არა რობაქიძის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შრომისნაყოფიერებით, გამოკითხულთა 91% -მა დადებითად შეაფასა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა 6 ძირითადი გამოწვევა: 1) სტუდენტთა მომზადება შრომითი საქმიანობის დასაწყებად; 2) სტუდენტებში ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; 3) სტუდენტების ინფორმირება სამუშაოს ძიების სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და გზების შესახებ.; 4) სტუდენტებისთვის პერსონალური ბრენდინგის სწავლება; 5) სტუდენტების თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობის ხელშეწყობა;

	6) ძირითადი კომპიუტერული უნარ-ჩვევების დაუფლება. მათ აღმოსაფხვრელად შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. . საანგარიშო პერიოდში ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ მომზადებული საგრანტო პროექტი - "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში"- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამარჯვებულ პროექტებს შორის დასახელდა (FR-18-6156). პროექტის ფარგლებში დაიწყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის არსებული თანამშრომლობის მდგომარეობის შესწავლა. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ბიზნესისა და მართვის სკოლის ფარგლებში ჩატარდა საქართველოში პროფესიული ორიენტაციის საკითხების კვლევა. კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ორ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. კვლევის შედეგების მიხედვით, ბიზნესისა და მართვის სკოლის აკადემიურ პროგრამებში გარკვეული კორექტირების საკითხის განხილვა დაიწყება მომდევნო საანგარიშო პერიოდში. **სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 1.1.9	**ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება/ ინტეგრირება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი. საანაგრიშო პერიოდში აღნიშნული საკითხის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, სკოლის დეკანები, სულ 88 წევრი; შემოწმდა საგანამანათლებლო პროგრამები.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა):** გამოკითხულთა და დოკუმენტების კვლევის შედეგები ასეთია: უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფართოებს საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტების ხვედრით წილს. საანგარიშო პერიოდში, ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა შემდეგი სახის ცვილილება: პროგრამის სავალდებულო სპეციალობის დისციპლინების მოდულს დაემატა პრაქტიკის კომპონენტი 10 კრედიტის მოცულობით. სტუდენტების პრაქტიკული ცოდნისა და უნარ- ჩვევების გაძლიერების მიზნით საანგარიშო პერიოდში სისტემატურად ტარდებოდა მნიშვნელოვანი (კურუკულუმს გარეთა) აქტივობები, როგორებიცაა: მასტერკლასები, მოწვეული პრაქტიკოსების ლექციები, სასწავლო - პრაქტიკული ტურები, სტუდენტების ვიზიტი სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში, საკონსულტაციო-საექსპერტო საქმიანობაში სტუდენტების მონაწილეობა და ა. შ. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებგვერდზე. **სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება ჩაითვალოს მეტწილად შესრულებულად.**

აქტივობა 1.1.10	**კარიერისთვის მომზადების სასწავლო კურსის შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირება სასწავლო დისციპლინის სახით.**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, *დოკუმენტაციის ანალიზი* მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ და *დოკუმენტაციის ანალიზი.* გამოიკითხა სამიზნე პოპულაცია / აკადემიური პერსონალი, რომლებიც ჩართული არიან აღნიშნული საკითხის მომზადებაში, ასევე, დეკანატები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები (38), შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია, ოფიციალური ვებგვერდი.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია ისეთი დისციპლინები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტთა მომზადებას პროფესიაში შესასვლელად. მაგალითად, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ფარგლებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი სასწავლო კურსებია: ეთიკა და ლიდერობა საჯარო სექტორში, ეტიკეტი ოფიციალურ ურთიერთობებში, სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში დაინერგა ე.წ. მინი პრაქტიკული კომპონენტი პრეკლინიკის სახით, რომელიც ინტეგრირებულია (ჩაშენებულია) სასწავლო კომპონენტებში და დიფერენცირებულია ეტაპებად, სასწავლო წლების მიხედვით, რაც ქმნის ლოგიკურად ინტეგრირებულ ერთიან გამჭოლ სისტემას და ხელს უწყობს სტუდენტთა რბილ ადაპტაციას პროფესიულ გარემოსთან, მოტივაციური ბაზისის გაძლიერებას, პრაქტიკულ კონტექსტში დარგის ცალკეული თეორიული ასპექტის გააზრებას და პროფესიული ეთიკის ნორმებით ოპერირების უნარის გამომუშავებას - ამზადებს საფუძველს იურიდიული კლინიკისთვის ანუ ფართო პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. ამავედროულად, შემუშავებულია კარიერისათვის მომზადების სასწავლო კურსი, რომელიც ხორციელდება სტუდენტის არჩევით, კრედიტს ზევით. აღნიშნული კურსის შემუშავებას წინ უძღვოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრა ექსპერტებთან, ამ საკითხებზე განხორციელებული კვლევის შედეგების განხილვა, კარიერული განვითარებისა და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების პროექტის განხორციელება და სხვა, კერძოდ: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებითა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, 2019 წლის 8-9 თებერვალს სასტუმრო ბორჯომი ლიკანში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო დასაქმების სფეროში არსებული გამოწვევების კვლევისა და ქმედითი მექანიზმების შემუშავება. შეხვედრაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მარიამ თავართქილაძე და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი ანა ფირცხალაშვილი. მარიამ თავართქილაძემ მონაწილეებს წარუდგინა პროექტის - „დასაქმების სახელმწიფო მექანიზმი: გამოწვევების კვლევა“, მოკლე მიმოხილვა. მონაწილეებმა იმსჯელეს დასაქმების ქმედითი მექანიზმის ძირითადი

	კომპონენტების შესახებ, ასევე, განიხილეს ამ სფეროში დღემდე არსებული პრობლემები და გამოწვევები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: სოფიო კილაძე - საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ფელიქს ჰეტი - საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის დირექტორი. https://gruni.edu.ge/main/news/1549946561 2019 წლის 23 აპრილს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებითა და საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა დასაქმების გამოწვევების კვლევის პროექტთან დაკავშირებით. ღონისძიების მიზანი იყო პროექტის ფარგლებში განხორციელებული შუალედური შედეგების წარდგენა დასაქმების პროგრამებში ჩართული სამინისტროებისთვის. შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეორნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე, ადამიანის უფლებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მარიამ თავართქილაძე და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი ანა ფირცხალაშვილი. მარიამ თავართქილაძემ მონაწილეებს გააცნო პროექტის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტები, კერძოდ, დასაქმების ავსტრიული მოდელი და პირის პროფილირების გერმანული სქემა. მონაწილეებმა იმსჯელეს დასაქმების ქმედითი მექანიზმის ძირითად კომპონენტებზე, ასევე, განიხილეს დასაქმების სფეროში არსებული პრობლემები და გამოწვევები. წარმოადგინეს რეკომენდაციები კვლევით სამუშაოებთან დაკავშირებით და გამოთქვეს პროექტის მხარდაჭერის სურვილი. https://gruni.edu.ge/main/news/1556297516 2019 წლის 18 თებერვალს დასრულდა სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების პროექტი, რომელსაც, უნივერსიტეტის მოწვევით, ადამიანური რესურსების მართვისა და ზრდასრულთა განათლების სპეციალისტი, მაკა კუკავა, ხელმძღვანელობდა. სამთვიან

	ტრენინგკურსში, ექსპერტის მიერ გასაუბრების წესით შერჩეული 25 სტუდენტი მონაწილეობდა. პროექტის ფარგლებში სტუდენტებმა განიხილეს საკითხები: საკუთარი შესაძლებლობების, უნარების, პიროვნული თვისებებისა და ინტერესების იდენტიფიცირება, პროფესიული ორიენტაცია, პიროვნული მახასიათებლები და მოტივაციური ფაქტორები, დაწესებულებაში პერსონალის როლი და ფუნქციები, სამუშაოს ეფექტურობისათვის საჭირო კომპეტენციები. შეისწავლეს, აგრეთვე, რეზიუმეს შედგენა და დამსაქმებლებთან კომუნიკაციის ხელოვნება, ინტერვიუს სწორად წარმართვა, დინამიკა და ტექნიკა, სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციული კულტურის ძირითადი მახასიათებლები და სხვა. მეცადინეობების ბოლოს სტუდენტებმა ექსპერტის ფასილიტაციით თეორიულად განხილული საკითხები პრაქტიკულად შეასრულეს და იქვე მისი შედეგებიც შეაჯამეს. პროექტის ბოლო მეცადინეობები სახელმწიფო უწყებებისა და კერძო კომპანიების ადამიანური რესურსების მიმართულების ხელმძღვანელებთან პანელურ დისკუსიას დაეთმო. პროექტში საბაკალავრო პროგრამის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები მონაწილეობდნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1550579511 https://gruni.edu.ge/main/news/1541412478 https://gruni.edu.ge/main/news/1543579757. მიმდინარეობს შესაბამისი სასწავლო კურსის შემუშავება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად.**

აქტივობა 1.3.1	**არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ახალ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული საკითხის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, სკოლის დეკანები, სულ 91 წევრი; შემოწმდა საანგარიშო პერიოდში გაფორმებული მემორანდუმები,

	ხელშეკრულებები, განხორციელებული აქტივობები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, საერთაშორისო თუ ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ახალი პარტნიორების შეძენა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს უნივერსიტეტის მდგრადობასა და სწავლა-სწავლების ხარისხს. უნივერსიტეტი ამგვარ თანამშრომლობას განიხილავს, როგორც თავისუფალ ნებას მიიღოს და დანერგოს საერთაშორისო აკადემიური საზოგდოების მიერ აღიარებული წესები და სტანდარტები საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა სფეროში. შექმნას ინსტიტუციური საფუძვლები იმისათვის, რომ სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა შეიძინოს ახალი გამოცდილება და გააზიაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრებს შორის. მეორე მხრივ, თავად შესთავაზოს სართაშორისო საზოგადოებას, საკუთარი საგანმანათლებლო პროდუქტები და სამეცნიერო რესურსი ახალი ცოდნის შესაქმნელად. დღეისათვის უნივერსიტეტს 100-ზე მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქვს გაფორმებული მემორნადუმი. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი ნაყოფიერ საგანამანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობას წარმართავდა **ამერიკის** (ჰარვარდის ბიზნესსკოლა), **პოლონეთის** (ლაზარსკისა და იან კოხონოვსკის), **გერმანიის** (ვურცბურგის, კიოლნისა და იულიუს მაქსიმილიანეს), **იტალიის** (საპიენსა), **ისრაელის, ბრიტანეთის, შვედეთის, კიევის, პორტოს, ავსტრალიის** უნივერსიტეტებთან. გრუნი კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის წევრიცაა და აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგამნანათლებლო დაწესებულებასთან. დოკუმენტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდში გრუნიმ კიდევ უფრო გააფართოვა თანამაშრომლობის არეალი, რაც სულ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის გასააქტიურებლად. **საანგარიშო პერიოდში გაფორმებული თანამშრომლობა:** -ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო (AUF), https://gruni.edu.ge/main/news/1550637435; -კიოლნის უნივერსიტეტი, https://gruni.edu.ge/main/news/1545133872;

	-ჰამბურგის უნივერსიტეტის ევროპის კოლეჯი, https://gruni.edu.ge/main/news/1572591925 -ისრაელის სახლი, https://gruni.edu.ge/main/news/1563858388; -გერმანიის განვითარების ფონდი (GIZ), თსუ, გრუნი, ჯიპა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, https://gruni.edu.ge/main/news/1538207283; - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, https://gruni.edu.ge/main/news/1542876431; -თბილისის საქალაქო სასამართლო, https://gruni.edu.ge/main/news/1545472949; -„ საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“, https://gruni.edu.ge/main/news/1542689690; მიმდინარეობს სამუშაოები ახალი პარტნიორების მოსაძიებლად. **სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 1.3.2	**საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / აგვისტო, 2019
კვლევის მეთოდი	**კვლევის მეთოდი:** გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი. საანაგრიშო პერიოდში აღნიშნული საკითხის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. დახურული

	კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, სკოლის დეკანები, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლები, პროექტების კოორდინატორი, სულ 89 წევრი; შემოწმდა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საზაფხულო სკოლებისა და მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა, საზაფხულო სკოლების ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა):** გამიკითხულთა შეფასებითა და დოკუმენტების კვლევით დადგინდა, რომ გრუნის გააჩნია საზაფხულო სკოლების ორგანიზების კარგი ტრადიცია, ყოველწლიურად ასობით ქართველი და უცხოელი სტუდენტი იღებს საინტერესო გამოცდილებას, იძენს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ეზიარება ევროპულ ღირებულებებს. **2018 წლის 2 აგვისტოს** დასრულდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კიდევ ერთი ერთობლივი პროექტი - საზაფხულო სკოლა, სამართლის მიმართულების სტუდენტებისათვის.საზაფხულო სკოლის მონაწილეები ორი კვირის განმავლობაში ისმენდნენ ლექციებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისა და სამართალწარმოების პროცედურების თაობაზე, ნარკოტიკული დანაშაულების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტების შესახებ საქართველოში, ნარკოპოლიტიკის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების, ნარკოდამოკიდებულებისა და საჯარო პოლიტიკის საკითხების, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და ევროკავშირის საკონსტიტუციო სამართალის შესახებ. საზაფხულო სკოლის ფარგლებში გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესები. საზაფხულო სკოლის პროგრამის ფარგლებში ლექციები წაიკითხეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა; ასევე, მოწვეულმა პროფესორებმა: იან კომარეკმა - კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ევროკავშირის სამართლის პროფესორმა; რობერტ შაპირომ - ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორმა; რიჩარდ ვოგლერმა - სასექსის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროფესორმა; ჰანს კრომბაგმა - სასექსის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და კრიმინოლოგიის კვლევის ცენტრის პროფესორმა; ენდრიუ კოპელმენმა -ნორზვესტერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორმა; ეკჰარდ პახემ - ვურცბურგის იულიუს

	მაქსიმილიანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა. https://gruni.edu.ge/main/news/1534395550. საანგარიშიო პერიოდში, 2019 წლის ივლისსა და აგვისტოში, ბათუმში გაიმართა ორი საზაფხულო სკოლა: **პირველი** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, ვურცბურგის იულიუს-მაქსიმილიანეს უნივერსიტეტისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთობლივი საზაფხულო სკოლა - „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და კონსტიტუციური სტანდარტები", რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობის სამართლისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სტუდენტები, სულ 25 სტუდენტი. https://gruni.edu.ge/main/news/1565167426. საზაფხულო სკოლის მონაწილეები ერთი კვირის განმავლობაში ისმენდნენ ლექციებს ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა აქტუალური საკითხის შესახებ, მათ შორის, ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის, პირადი ცხოვრებისა და მონაცემთა დაცვის უფლების ევროპული სტანდარტების, ეროვნულ - სამართლებრივ სისტემებში ადამიანის უფლებათა დაცვის, ევროპის სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელობის, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი პრაქტიკისა და სხვა საკითხების შესახებ. ლექციებს უძღვებოდნენ ქართველი და გერმანელი პროფესორები და პრაქტიკოსი იურისტები. საზაფხულო სკოლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს 6 სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტი, გერმანელი სტუდენტები ვურცბურგისა და იენის უნივერსიტეტებიდან, ასევე, საჯარო მოხელეები. აღნიშნული საზაფხულო სკოლა ვურცბურგის უნივერსიტეტს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა. **მეორე** - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლობის ფარგლებში 2019 წლის 22-28 ივლისს სტუდენტებისათვის წელს მეორედ გაიმართა საზაფხულო სკოლა „კონსტიტუციური და ადამიანის უფლებათა სამართალი“. პროექტი განხორციელდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პროექტის „ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერა“, USAID-ის

	პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ფინანსური თანამონაწილეობით, რომელშიც ჩართული იყო გრუნის 45 სტუდენტი. https://gruni.edu.ge/main/news/1564900020. საზაფხულო სკოლები მიზნად ისახავდა ახალგაზრდა იურისტებში კონსტიტუციური მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების პოპულარიზაციას. საზაფხულო სკოლების პროექტებში მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, მათ შორის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტიდან, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გასაუბრების წესით შეარჩია. სტუდენტებისათვის ლექციები ჩატარდა ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. საზაფხულო სკოლის მონაწილეები გაეცნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას, მონაწილეობდნენ იმიტირებულ სასამართლო პროცესებში. საზაფხულო სკოლის ფარგლებში ლექციები ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელმა სპეციალისტებმაც წაიკითხეს, კერძოდ: • პიტერ პაჩოლაიმ - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლემ და ვენეციის კომისიის საპატიო პრეზიდენტმა; • რიჩარდ ვოგლერმა - სასექსის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორმა; • ნორა ნი ლოიდეანმა - ლონდონის უნივერსიტეტის სამართლის გაძლიერებული სწავლების ინსტიტუტის (IALS) საინფორმაციო სამართლისა და პოლიტიკური ცენტრის დირექტორმა, კემბრიჯის • უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთ) პროფესორმა; • ჯეისონ დესანტომ - ნორსვესტერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (აშშ) პროფესორმა; • თამარ ქალდანმა - საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორმა; • დავით გაბეხაძემ - მოწვეულმა ექსპერტმა; • თეიმურაზ ტუღუშმა - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ. საზაფხულო სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს

	შესაძლებლობა ექნებათ, ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარონ საკონსტიტუციო სასამართლოში. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად**

აქტივობა 1.3.3	**საერთაშორისო პროგრამებისა და უნივერსიტეტის ურთიერთობის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის გაფართოება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები/ მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტები (20 სტუდენტი), დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა მობილობაში მონაწილე სტუდენტების შერჩევისა და პროგრამაში ჩართვის დოკუმენტურად დადასტურებული მონაცემები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტი თავისი საგანმანათლებლო საქმიანობის დღის წესრიგში მუდმივად განიხილავს საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობას. დღეისათვის ის საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, იტალიის, პორტოსა და სხვა არაერთი წამყვანი უნივერსიტეტის პარტნიორია და ეს თანამშრომლობა გრძელდება, რაც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს განათლების საერთაშორისო სტანდარტებსა და სწავლებისა და კვლევის კარგი გამოცდილება მიიღოს. საანგარიშო პერიოდში, ამ თანამშრომლობის შედეგად, 20 სტუდენტი ჩაერთო მობილობის პროცესში, კერძოდ: უნივერსიტეტს მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებს საფრანგეთის უმაღლეს საგანათლებლო სასწავლებლებსა და ორგანიზაციებთან. დღეისათვის ის ნანტის, ლილის, სორბონის უნივერსიტეტებთან და ადმინისტრირების ეროვნულ სკოლასთან (ენა) თანამშრომლობს და ახორციელებს სხვადასხვა სამეცნიერო და გაცვლით პროგრამას, რომლის ფარგლებშიც: ნანტის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი **რომან კალო** გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთი სემესტრია სწავლობს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში.

	https://gruni.edu.ge/main/news/1539274851 2018 წლის ოქტომბერში უნივერსიტეტის სამი სტუდენტი - **მარიამ ბანძელაძე, ანა ნორაკიძე** და **მარი ოდიშელიძე** საერთაშორისო მობილობის პროგრამის ფარგლებში სწავლის გასაგრძელებლად საფრანგეთში გაემგზავრნენ. მარიამ ბანძელაძე ნანტის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ანა ნორაკიძე და მარი ოდიშელიძე კი კლერმონის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელ კურსზე ჩაირიცხნენ. უნივერსიტეტის კიდევ ერთი სტუდენტი, **ქეთევან რევიშვილი,** წელს ქალაქ ლილის უნივერსიტეტის პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების სკოლის სამაგისტრო პროგრამას ამთავრებს. https://gruni.edu.ge/main/news/1541660067 საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტებმა **ანა მანველიშვილმა** და **სალომე ზაბახიძემ** 2019 წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლა საფრანგეთის -Science Po Rennes-ის უნივერსიტეტში გააგრძელეს. სწავლის გადასახადი სრულად დაფინანსდა უნივერსიტეტებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე. https://gruni.edu.ge/main/news/1542964473 საანგარიშო პერიოდში პროგრამა „Erasmus +-ის"- ფარგლებში ბიზნესის სკოლის სტუდენტები **გიორგი ნოზაძე და ნიკა კოდიაშვილი** ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლობდნენ პოლონეთში, იან კოხონოვსკის უნივერსტეტში. https://gruni.edu.ge/main/news/1558334679 **თეკლე ორთოიძემ** Erasmus+-ის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და საანგარიშო პერიოდში სწავლა პორტოს უნივერსიტეტში გააგრძელა, მან Erasmus+-ის სტიპენდია მოიპოვა. https://gruni.edu.ge/main/news/1545886641 ბათუმის წარმომადგენლობის სამართლის სკოლის სტუდენტმა **მარიამ კასიტერიდიმ** 2018 წლის შემოდგომაზე გაიმარჯვა „Erasmus + "- ის შესარჩევ ტურში და ერთი სემესტრით მივლინებულია პოლონეთში, ლაზარსკის უნივერსიტეტში. https://gruni.edu.ge/main/news/1558334679 სამართლის სკოლის წარჩინებული სტუდენტები - **სოფიო ჯიბლაძე და ქეთევან ნიკოლაძე,** გერმანიაში, ბონში გაემგზავრნენ. მათ გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოების (IRZ) მიერ ჩატარებულ საშემოდგომო აკადემიაში (Herbstakademie) მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და სალექციო - პრაქტიკულ კურსს გაივლიან სამოქალაქო სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. პროექტს სრულად აფინანსებს IRZ.

	https://gruni.edu.ge/main/news/1540992942 **3 დეკემბერი, 2018 წელი.** საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტი **ანა მანველიშვილი** ბერლინში "კურტ ლიოვენშტეინის" ზამთრის სკოლის შესარჩევი კონკურსის გამარჯვებული გახდა და საანგარიშო პერიოდში გაემგზავრა გერმანიაში პროექტში მონაწილეობისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1543984467 საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მაგისტრანტმა **ჯუბო ბერიძიშვილმა** შვედური ინსტიტუტის სასტიპენდიო კონკურსში გაიმარჯვა და სწავლას შვედეთში, მალმოს უნივერსიტეტში, ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაზე - „გლობალური პოლიტიკა და სოციალური ცვლილებები“, განაგრძობს. დაფინანსება ითვალისწინებს როგორც სწავლის ღირებულების, ისე საცხოვრებელი ხარჯების დაფარვას და ყოველთვიურ სტიპენდიას. აღსანიშნავია, რომ კონკურსში 7 ქვეყნის 826 აპლიკანტი მონაწილეობდა, საიდანაც 65 გამარჯვებული შეირჩა. ჯუბოსთვის ეს უკვე მეორე სტიპენდიაა. როგორც საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, ის ლიტვის სახელმწიფოს დაფინანსებით კლაიპედას უნივერსიტეტში სწავლობდა. https://gruni.edu.ge/main/news/1556772391 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის კიდევ ორი სტუდენტი გახდა DAAD-ის სტიპენდიანტი. **სოფო წიკლაური,** საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მაგისტრანტი, აგვისტოში დიუსელდორფში გაემგზავრება საერთაშორისო კომუნიკაციების ინსტიტუტის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გერმანული ენის ცოდნის გაღრმავებასა და პროფესიულ ტრენინგებს მოიცავს. **ქეთი ნიკოლაძე,** სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი, ამავე მიზნით ივლისში ქალაქ ბრემენის კოლეჯში სასწავლებლად გაემგზავრება. ქეთიც გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, DAAD- ის სტიპენდიანტია. https://gruni.edu.ge/main/news/1556772801 მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ფრანგული ენის ცოდნის დონის მიხედვით ფრანკოფონიის სააგენტომ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ორი სტუდენტი: **მეგი გვილავა** - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა და **ლიკა სუდაძე -** სამართლის სკოლა, დაასახელა. ისინი მიმდინარე წლის 1 ივლისს სააგენტოს სრული დაფინანსებით გაემგზავრებიან ბულგარეთში ფრანკოფონიის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. https://gruni.edu.ge/main/news/1555302916

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.

აქტივობა 1.3.4	**საბაკალავრო პროგრამებში უცხოენოვანი სასწავლო კომპონენტების ინტეგრირება და უცხო ენის სწავლების გაძლიერება ბრიტანეთის საკონსულოსთან, ფრანგულ ინსტიტუტსა და გოეთეს ინსტიტუტთან თანამშრომლობით**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები / უცხოენოვან კომპონენტებზე დარეგისტრირებული სტუდენტები (28), პროგრამის ხელმძღვანელები (10), აკადემიური პერსონალი (12), დეკანები (5); დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, ხელშეკრულებები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირება დაიწყო ბიზნესის ადმინისტრირების ახალმა ინგლისურენოვანმა საბაკალავრო პროგრამამ. ამავე პერიოდში შემუშავდა და სააკრედიტაციოდ მომზადდა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ვებსტერის უნივერსიტეტთან ერთად. ბიზნესისა და მართვის სკოლის საბაკალავრო პროგრამებს არჩევითი კომპონენტის სახით დაემატა რამდენიმე ინგლისურენოვანი საგანი. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში დანერგილია სასწავლო კურსები: სამართლის გერმანული პროფესიული ენა (1, 2) და სამართლებრივი ინგლისური (1, 2). სამართლის სამაგისტრო პროგრამა მაქსიმალურად დატვირთულია ინტერნაციონალური ელემენტებით. მის განხორციელებაში ჩართული არიან, როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები/სპეციალისტები. ამასთან, გათვალისწინებულია უცხოენოვანი ბლოკი, სადაც მაპროფილებელი

	ტიპის დისციპლინები ისწავლება ინგლისურ და გერმანულ ენებზე. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით გერმანის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. სადოქტორო პროგრამების დარგობრივი დისციპლინების მოდულში წარმოდგენილია უცხოენოვანი ბლოკ-სემინარი, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს, საკუთარი ცოდნის დიაპაზონისა და კვლევის ინტერესის გათვალისწინებით, აირჩიოს კონკრეტული პროფესორის მიერ წარმოდგენილი თემა/პრობლემა, ან თვითონ მოითხოვოს განსხვავებული თემის შემოტანა/ განხილვა. ამავე დროს, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ბრიტანულ ცენტრთან და ფრანგულ ინსტიტუტთან, რომლის დახმარებითაც შემუშავდა ფრანგული ენის პროგრამები, დონეების მიხედვით, რამაც გაზარდა ფრანგული ენის შემსწავლელთა რიცხვი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 1. 3. 5	**საერთაშორისო სტუდენტურ შეკრებებსა და სხვა ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / აგვისტო, 2019
კვლევის მეთოდი	**კვლევის მეთოდი:** გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. მონიტორინგის სამსახურმა საერთაშორისო სტუდენტურ შეკრებებსა და სხვა ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობა შეისწავლა რაოდენობრივი მონაცემებით, გამოიკითხა ამგვარ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტები, შემოწმდა და შეჯამდა მათი მოსაზრებები (სულ სამიზნე ჯგუფის 85 წევრი). დოკუმენტების ანალიზით, შემოწმდა საერთაშორისო სტუდენტურ შეკრებებსა და სხვა ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ხელშეკრულებები, მივლინებები, სერტიფიკატები და სხვა

	დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებითა და კვლევის შედეგებით, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ახალი, თანამედროვე კომპეტენციებით აღჭურვილი ახალგაზრდების მომზადება, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებენ ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამდენად, უნივერსიტეტი მუდმივად გამოხატავს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს სტუდენტების მონაწილეობას ამგვარ აქტივობებში. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო შეკრებასა თუ ღონისძიებაში, რომელიც ორგანიზებული იყო უცხოელი პარტნიორების მიერ საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, კერძოდ: **2018 წლის 26-28 სექტემბერს,** უნივერსიტეტის მხარდაჭერით, რომის საპიენსას უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო ახალგაზრდული კონფერენცია „ახალგაზრდობა და იდენტობა“, რომელშიც მონაწილეობდა უნივერსიტეტის დოქტორანტი ალექსანდრე მერმარნიშვილი. https://gruni.edu.ge/main/news/1539168411 **2018 წლის 26 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის წარჩინებული სტუდენტები - სოფიო ჯიბლაძე და ქეთევან ნიკოლაძე, გერმანიაში, ბონში გაემგზავრნენ. მათ გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოების (IRZ) მიერ ჩატარებულ საშემოდგომო აკადემიაში (Herbstakademie) მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და სალექციო - პრაქტიკულ კურსს გაივლიან სამოქალაქო სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. https://gruni.edu.ge/main/news/1540992942 **2018 წლის 11 - 16 ნოემბერს** სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით, განათლების ინტერნაციონალიზაციის თემაზე ბუდაპეშტში გამართულ ტრენინგს ესწრებოდნენ სტუდენტები: სოფო ჯაჭვაძე და ქეთევან გაბრიჭიძე. https://gruni.edu.ge/main/news/1542963882 **2019 წლის 11 - 15 თებერვალს** საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტები სალომე ზაბახიძე და თორნიკე გოგოლიძე; სამართლის სკოლის სტუდენტები: მეგი გუტაშვილი, ნუკა ელბაქიძე და ანა არევაძე ვურცბურგის უნივერსიტეტში ზამთრის სკოლის ფარგლებში

	გამართულ ლექციებს დაესწრნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1550579009 **29 თებერვლიდან 6 მარტამდე** ქართველი სტუდენტები რომის საპიენსას უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სასწავლო სემინარში მონაწილეობდნენ, რომელიც ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა. https://gruni.edu.ge/main/news/1552537956 **19 მარტს,** საქართველოში ფრანკოფონიის დღეების ფარგლებში, უნივერსიტეტის ფრანგული ენის შემსწავლელი კურსის 8 სტუდენტმა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს მხარდაჭერით ფრანგული სამზარეულო წარადგინა. https://gruni.edu.ge/main/news/1553077761 **2019 წლის 5-7 აპრილს** გრუნის სტუდენტები პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად მონაწილეობდნენ ჰაკათონის ხასიათის ბანაკის მუშაობაში, რომელიც ეძღვნებოდა ეკოსისტემის შესახებ საქართველოსა და უკრაინის სტარტაპების გაცნობას. მას ბიზნესისა და მართვის სკოლის, ტურიზმის სპეციალობის, ორი სტუდენტი - ხატია შალვაშვილი და ანა კვარაცხელია, https://gruni.edu.ge/main/news/1555302744 მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ფრანგული ენის ცოდნის დონის მიხედვით ფრანკოფონიის სააგენტომ შეარჩია და ბულგარეთში ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად სრული დაფინანსებით გაემგზავრნენ; მეგი გვილავა - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა და ლიკა სუდაძე- სამართლის სკოლა, https://gruni.edu.ge/main/news/1555302916 **2019 წლის 26 მაისს** გრუნის სტუდენტები ფრანკოფონიის სააგენტოს პროექტში ჩაერთვნენ და სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს თბილისელებს. https://gruni.edu.ge/main/news/1559804699 **2019 წლის 27 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით** საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის ქართულ-გერმანული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის დაფინანსებით ბელგიასა და ლუქსემბურგში იმყოფებოდნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1565332018 **2019 წლის 22-28 ივლისს** სტუდენტებისათვის უკვე მეორედ გაიმართა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „კონსტიტუციური და

	ადამიანის უფლებათა სამართალი“. პროექტი განხორციელდა USAID-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ფინანსური თანამონაწილეობით. https://gruni.edu.ge/main/news/1564900020 **სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 1.3.6	**უცხოელ პროფესორთა მოწვევა და ელექტრონული პლატფორმის გამოყენება სალექციო კურსების ჩასატარებლად**
მონიტორინგის პერიოდი	**მონიტორინგის პერიოდი: 2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარის საშუალებით, შეგროვდა რაოდენობრივი მონაცემები და საჭირო ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გამოკითხვაში მონაწილეობდა 26 სტუდენტი და 4 დეკანი. შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი უცხოეთის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით ყოველწლიურად აფართოებს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, როგორც საგანმანათლებლო მიმართულებით, ისე სამეცნიერო კვლევების ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისითაც. ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი ასპექტია უცხოელი პროფესორების მოწვევა და მათი საჯარო ლექციებით განათლების საერთაშორისო სტანდარტებისა და სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო გამოცდილების შეძენა. სანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტს სტუმრობდნენ: **საფრანგეთის, გერმანიის, ამერიკის, პოლონეთის, ისრაელის, ავსტრალიის, უკრაინის** მეცნიერები და განიხილავდნენ სხვადასხვა სფეროს აქტუალურ საკითხებს, კერძოდ: **2018 წლის 10 ოქტომბერს** გრუნიმ უმასპინძლა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩს საქართველოში პასკალ მონიესა და ფრანგული უნივერსიტეტის დირექტორს პიერ კლუეს. ელჩმა ისაუბრა ერთობლივი, ქართულ-ფრანგული პროგრამების შესახებ, საგანგებოდ აღნიშნა კრიმინალისტიკისა და სტომატოლოგიის

	ლაბორატორიებს შესახებ და საზეიმო ცერემონიის მონაწილეებს აცნობა თავისი გადაწყვეტილება: ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის ლაბორატორიისა და საფრანგეთის შესაბამისი სტრუქტურის თანამშრომლობას, შუამგომლობა აღძრას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე აღნიშნულ ლაბორატორიასთან ერთობლივი თანამშრომლობის თაობაზე; გამოაცხადოს კონკურსი და დააფინანსოს გამარჯვებული სტუდენტის სწავლა საფრანგეთში. https://gruni.edu.ge/main/news/1539274851 **2018 წლის 23 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს სტუმრობდნენ ცნობილ გერმანელი და ავსტრალიელი ექიმები-უილიამ ბრაუნი და ვოიცეხ კონრად კარჩი, სტუმრებმა წარმოადგინეს თავიანთი ქვეყნების მედიცინის მიღწევები და ჯანდაცვის ის პოლიტიკა, რომელსაც გერმანია და ავსტრალია დღეისათვის ახორციელებს. ისაუბრეს, აგრეთვე, თანამედროვე, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით ორგანოთა ტრანსპლანტაციის, სამედიცინო დაზღვევის, სამედიცინო განათლებისა და ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. უნივერსიტეტთან თანაშრომლობისა და მედიცინის სფეროს განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის უილიამ ბრაუნსა და ვოიცეხ კონრად კარჩს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ. https://gruni.edu.ge/main/news/1540457735 **2018 წლის 20 ნოემბერს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს ეწვივნენ კიევის ეროვნული სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ანატოლი კოლოტი და პროფესორი ოლია შევჩენკო. განიხილეს თანამშრომლობის საკითხები, კერძოდ: ერთობლივი პროექტების, სამეცნიერო კონფერენციების, ბიზნესფორუმების, საზაფხულო სკოლების, სამეცნიერო პუბლიკაციების, გაცვლითი პროგრამების მომზადების საკითხები. კიევის ეროვნული სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი უნივერსიტეტია, აღნიშნულ სასწავლებელში 15 000 სტუდენტი სწავლობს, უნივერსიტეტს 2 სასწავლო ინსტიტუტი და 15 სამეცნიერო სკოლა გააჩნია, უნივერსიტეტი 13 სახის სამეცნიერო ჟურნალს გამოსცემს. https://gruni.edu.ge/main/news/1542875294 **2018 წლის 11-14 დეკემბერს** უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გერმანელმა მეცნიერმა და მკვლევარმა, კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰანს გიუნტერ ლინდერნმა წაიკითხა ლექციების ციკლი: „კონსალტინგი და ინფორმაციული სისტემები“ (Consulting & Information Systems). https://gruni.edu.ge/main/news/1544887959

	2018 წლის 7 დეკემბერს, ბიზნესისა და მართვის სკოლის ინიციატივით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის გაიმართა საჯარო ლექცია: „Regional Economic Outlook for Caucasus and Central Asia“, რომელიც წაიკითხა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივმა წარმომადგენლმა საქართველოში - ფრანსუა პეშომ. https://gruni.edu.ge/main/news/1544436929 **2018 წლის 21 დეკემბერს** უნივერსიტეტს ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს წარმომადგენლები ესტუმრნენ და პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ესაუბრნენ განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ და აღნიშნულ ორგანიზაციაში რობაქიძის უნივერსიტეტის გაწევრიანების პრიორიტეტებისა და თანამშრომლობის შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1545798538 **2019 წლის 19 თებერვალს** უნივერსიტეტს სტუმრობდა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონული დირექტორი მუჰამედ კეტატა. ფრანგულენოვანი უნივერსიტეტის წარმატების ცენტრი მიზნად ისახავს ფრანგული და ინგლისური ენების სწავლების გაძლიერებას AUF-ის წევრ დაწესებულებებში. https://gruni.edu.ge/main/news/1550637435 **2019 წლის 12 მარტს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა გერმანელი იურისტის ულრიხ ჰაგენლოხის საჯარო ლექცია - "მოსამართლის დამოუკიდებლობა გერმანიაში". მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა მოსამართლის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების შესახებ გერმანიის კანონმდებლობისა და ისტორიული გამოცდილების მაგალითზე, ასევე, იმ ინსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აქტუალურია დღეს მართლმსაჯულების სისტემაში. https://gruni.edu.ge/main/news/1552539276 **2019 წლის 8 მაისს** უნივერსიტეტს „ერასმუს +“ -ის პროექტით პოლონელი პროფესორები: მარიანა პროკოფი და ივონა პირშინი სტუმრობდნენ. მათ უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტებისათვის წაიკითხეს ლექცია უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და კომუნიკაციის ხელოვნების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1557726246

	2019 წლის 22 მაისს უნივერსიტეტს ეწვია ნიუ იორკის კოლეჯის ჯანდაცვის მეცნიერებისა და პრაქტიკის სკოლის გლობალური ჯანდაცვის დირექტორი პადმინი მურთი და მედიცინის სკოლის სტუდენტებისათვის წაიკითხა საჯარო ლექცია „გლობალური ჯანდაცვის გამოწვევები და შესაძლებლობები“. https://gruni.edu.ge/main/news/1559025835 **2019 წლის 6 ივნისს,** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს გერმანიის ელჩი ჰუბერტ ქნირში ეწვია და საჯარო მმართველობის გამოწვევებთან დაკავშირებით საჯარო ლექცია წაიკითხა. ჰუბერტ ქნირშმა, როგორც ამ სფეროს სპეციალისტმა, სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან განიხილა გერმანიის საჯარო მმართველობის სისტემა და პოლიტიკა, ისაუბრა, აგრეთვე, საჯარო მმართველობის დიგიტალიზაციის, ნეპოტიზმის აღმოფხვრის გზებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1560227787 **2019 წლის 22- დან 26 მაისის** ჩათვლით პროგრამა Erasmus+ - ის ფარგლებში გრიგოლ რობაქიძის უნივერსტეტს სტუმრობდა ლაზარსკის უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ეკონომიკის დეკანი მარტინ დალი. ვიზიტის ფარგლებში ბატონი მარტინი კვლევითი ცენტრის დირექტორს - თამარ თავხელიძეს შეხვდა და გაეცნო ამ მიმართულებით უნივერსიტეტის საქმიანობას, განიხილეს ერთობლივი პროექტების დაგეგმვის შესაძლებლობაც. https://gruni.edu.ge/main/news/1559193840 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.7	**სასწავლო ტურების ორგანიზება ევროპის ქვეყნებში;**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / აგვისტო, 2019
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. რაოდენობრივი კვლევის, კერძოდ, დახურული კითხვების, მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 40 წევრი, მათ შორის, სასწავლო ტურების მონაწილე სტუდენტები, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანმაშრომლები; დოკუმენტების ანალიზით კი შემოწმდა სტუდენტთა შერჩევისა და გამგზავრების პროცედურების ამსახველი დოკუმენტაცია.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევამ გვიჩვენა, რომ გრუნის დღევანდელი საგანმანათლებლო საქმიანობის განსაკუთრებულობა ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თუ სხვადასხვა საერთაშორისო დაწესებულებასთან აქტიურ თანამშრომლობაში მდგომარეობს. მნიშვნელოვან სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ევროპაში სასწავლო ტურების ორგანიზება, რითაც სტუდენტები იღებენ ახალ გამოცდილებას, იფართოებენ ცოდნის ჰორიზონტს, განავითარებენ სასწავლო მოტივაციას და სხვ. უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები ტრადიციულად, ყოველ წელს, სასწავლო - შემეცნებითი ტურის ფარგლებში, უნივერსიტეტის დაფინანსებით, მიემგზავრებიან ევროპაში. 2018-2019 საანგარიშო პერიოდში საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ორგანიზებითა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) დაფინანსებით, განხორციელდა სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი გერმანიაში. ვიზიტის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ ევროკავშირის მმართველობით სისტემასა და საგარეო პოლიტიკას, მონაწილეობდნენ პარტნიორი უნივერსიტეტების - ვურცბურგისა და პოტსდამის, მიერ შემოთავაზებულ სასწავლო ღონისძიებებში, ეწვივნენ გერმანიის მმართველობით ორგანოებს: ბუნდესთაგს, ბრანდენბურგის მიწის ლანდთაგს, შეხვდნენ გერმანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოების (DGAP) წარმომადგენლებს და მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაციები გერმანიისა და ევროპის საგარეო პოლიტიკის ყველაზე აქტუალური საკითხების შესახებ; საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ისაუბრეს კავკასიის კონფლიქტებზე, გაეცნენ ინფორმაციას გერმანიის ფედერალური მოწყობის, საარჩევნო სისტემის, ცენტრისა და მიწის უფლებამოსილებების შესახებ და სხვა. საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტისა და პარტნიორი ორგანიზაციების დაფინანსებით, განხორციელდა 6 სასწავლო ტური ევროპაში, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა სპეციალობის 65 სტუდენტი, კერძოდ: **2019 წლის 27 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით** საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის ქართულ-გერმანული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები (6 სტუდენტი) ბელგიასა და ლუქსემბურგში იმყოფებოდნენ. სტუდენტები ეწვივნენ ევროპის ისტორიის სახლს, ევროპარლამენტსა და ევროპულ საბჭოს; დაათვალიერეს

	პარლამენტარიუმი და სხდომათა დარბაზის შენობა, გაეცნენ პარლამენტისა და ევროპული საბჭოს საქმიანობას, მუშაობის რეგლამენტს, შეხვდნენ აღნიშნული სტრუქტურების ოფიციალურ წარმომადგენლებს, დაათვალიერეს ბრიუსელის, ბრუგესა და ლუქსემბურგის ღირსშესანიშნაობები. https://gruni.edu.ge/main/news/1565332018 **2019 წლის 1 ივლისი.** მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ფრანგული ენის ცოდნის მიხედვით ფრანკოფონიის სააგენტომ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ორი სტუდენტი: მეგი გვილავა - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა და ლიკა სუდაძე- სამართლის სკოლა, დაასახელა. ისინი მიმდინარე წლის 1 ივლისს სააგენტოს სრული დაფინანსებით გაემგზავრებიან ბულგარეთში ფრანკოფონი სტუდენტების ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. https://gruni.edu.ge/main/news/1555302916 2019 წლის 29 თებერვლიდან 6 მარტამდე, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, მედიცინის სკოლის სტუდენტები რომის (საპიენსას) უნივერსიტეტს ეწვივნენ, გრუნის სტუდენტები სასწავლო სემინარში მონაწილეობდნენ. გაიმართა შეხვედრა სტუდენტებთან, რომელსაც ესწრებოდნენ მედიცინის სკოლის დეკანი, ასევე, საპიენსას უნივერსიტეტის ოდონტო-სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ლივია ოტოლენგი და პერიოდონტოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი - ანდრეა პილონი. https://gruni.edu.ge/main/news/1552537956 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის წარჩინებული სტუდენტები - სოფიო ჯიბლაძე და ქეთევან ნიკოლაძე, გერმანიაში, 2018 წლის ოქტომბერში ბონში გაემგზავრნენ. მათ გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოების (IRZ) მიერ ჩატარებულ საშემოდგომო აკადემიაში (Herbstakademie) მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და სალექციო-პრაქტიკული კურსი გაიარეს სამოქალაქო სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. https://gruni.edu.ge/main/news/1540992942 **2018 წლის 26 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის წარჩინებული სტუდენტები - სოფიო ჯიბლაძე და ქეთევან ნიკოლაძე, გერმანიაში, ბონში გაემგზავრნენ. მათ გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოების (IRZ) მიერ ჩატარებულ საშემოდგომო აკადემიაში (Herbstakademie) მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და სალექციო - პრაქტიკულ კურსს გაივლიან სამოქალაქო

	სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. https://gruni.edu.ge/main/news/1540992942 **2019 წლის 16-20 მაისს** ბიზნესის და მართვის სკოლის ტურიზმის პროგრამის სტუდენტებისთვის ჩატარდა სასწავლო-შემეცნებითი ტური კაბადოკიაში (თურქეთი). სტუდენტები კაბადოკიაში დაესწრნენ ტურისტული კომპანია „იამა ტურის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, რომლის თემატიკა იყო ტუროპერეიტინგისა და მარშრუტების დაგეგმვის საკითხები, ასევე, თურქეთსა და საქართველოს შორის საერთაშორისო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები. სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები. https://gruni.edu.ge/main/news/1559029900 იმავე, 2019, წელს, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მაგისტრანტი ჯუბო ბერიძიშვილი შვედეთში „ვისბის“ პროგრამის სტიპენდიანტი გახდა. https://gruni.edu.ge/main/news/1556772391 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 1.4.1	**დამსაქმებლებთან შეხვედრების, მასტერკლასების, საჯარო ლექციების, დასაქმების ფორუმების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	**2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი თემის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ და დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 38 წევრი: სტუდენტები, სკოლების დასაქმების კომიტეტების წევრები, დასაქმების კოორდინატორი, შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა მიერ აღინიშნა, რომ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად, მრავალფეროვანია დასაქმებასთან დაკავშირებული აქტივობები: დასაქმების ფორუმები, შეხვედრები დამსაქმებლებთან, საჯარო ლექციები, მასტერკლასები და კარიერული განვითარების ტრენინგები,

	საქართველოს მთავრობის მიერ ორგანიზებული საგაზაფხულო და საშემოდგომო სტაჟირების პროგრამები - ეს ყოველივე ემსახურება სტუდენტთა დასაქმებასა და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომლებიც შრომითი საქმიანობის დაგეგმვაში, პროფესიული მიზნების მიღწევასა და კარიერულ წინსვლაში დაეხმარება სტუდენტებს. დღეისათვის, მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე, უნივერსიტეტი 100-ზე მეტ კომპანიასა და სხვადასხვა პროფილურ უწყებასთან თანამშრომლობს. საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური შეხვედრები გაიმართა: „ევექსის“ „ ნიკორას“, „Nexia Ta”-ს, კომპანია „ARVATO BERTELSMANN”-ის, „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსის“, შპს „ედელინგის“, შპს „S.R.T“-ის, სს „ლილო 1-ის“, „იმედი L“-ის, „რედისონ ბლუ ივერიასა“ და ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებთან; სტუდენტებმა მოისმინეს გოდერძი შარაშიას, თეიმურაზ ცომაიას, გიორგი თუხარელის, დავით ძამუკაშვილის, სულხან გამყრელიძის მასტერკლასები; პროფესიული პრაქტიკა გაიარეს სხვადასხვა კომპანიაში. https://gruni.edu.ge/main/news/1537417529 https://gruni.edu.ge/main/news/1537522193 https://gruni.edu.ge/main/news/1538206868 https://gruni.edu.ge/main/news/1538207586 https://gruni.edu.ge/main/news/1539838797 https://gruni.edu.ge/main/news/1539838206 https://gruni.edu.ge/main/news/1643262336 https://gruni.edu.ge/main/news/1542005984 https://gruni.edu.ge/main/news/1541412478 https://gruni.edu.ge/main/news/1544888362 https://gruni.edu.ge/main/news/1542006435 https://gruni.edu.ge/main/news/1541565457 https://gruni.edu.ge/main/news/1542964266 https://gruni.edu.ge/main/news/1540356564 https://gruni.edu.ge/main/news/1553661955 https://gruni.edu.ge/main/news/1559711758 **2019 წლის 27 ივნისს** გრუნიმ პარტნიორ კომპანიებთან ერთად

	შეაჯამა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიმართულებით გაწეული მუშაობა და შედეგები. ფორუმის მუშაობაში უნივერსიტეტის პარტნიორი 38 კომპანია მონაწილეობდა. აღინიშნა, რომ ჩატარებული კვლევების მიხედვით, დღეისათვის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების საერთო მაჩვენებელი 87%-ს შეადგენს. აქედან, სპეციალობის მიხედვით დასაქმებულია 61%, 26% კი - არასპეციალობით. საგანგებოდ აღინიშნა სს „ ევექსის კლინიკებთან“ ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ. კომპანიამ წლის განმავლობაში უნივერსიტეტს შესთავაზა 4 პროდუქტი: სტუდენტთა საყოველთაო დაზღვევის უფასო პროგრამა, სტუდენტთა სტიპენდიის პროგრამა და სტუნდენტური პროექტების მხარდაჭერა. პარტნიორობის ფარგლებში კომპანიამ დააფინანსა ახალგაზრდების 2 პროექტი: “საუბრები ფსიქოლოგიაზე“ და „გენდერული თანასწორობა და 21-ე საუკუნის გამოწვევები“, დაასაქმა ათამდე სტუდენტი, წარჩინებული, აქტიური და კრეატიული სტუდენტისათვის დააწესა 6-თვიანი სტიპენდია. ნია ქავთარაძე, მირანდა ჩარკვიანი, ნანა ბიჭაშვილი და სალომე ბერუაშვილი/როენა ბახია „ევექსის“ სტიპენდიანტები გახდნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1561706400 https://gruni.edu.ge/main/news/1562219374 საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზა: 2 დასაქმების ფორუმი, მათ შორის, ერთი -შინაგან საქმეთა სამინისტროში. https://gruni.edu.ge/main/news/1563347054 ასევე, სახელმწიფო სტაჟირების საშემოდგომო და საგაზაფხულო პროგრამები, რომლებიც თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობიდან 34-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. 2019 წლის მარტში უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ შემუშავებული საგრანტო პროექტი - **“უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში“,** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამარჯვებულ პროექტებს შორის დასახელდა (FR-18-6156). https://gruni.edu.ge/main/news/1553761317 პარტნიორი კომპანიების გარდა, სტუდენტები სტაჟირებას უნივერსიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურაშიც (სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახური,

	ადამიანური რესურსების სამსახური, სტუდენტური სერვისების სამსახური) ოფიციალურად გადიან და სპეციალობის შესაბამისად, იძენენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. უნივერსიტეტს თავისი კურსდამთავრებულების დასაქმების კარგი პრაქტიკაც გააჩნია. ამასთან ერთად, უნივერსიტეტი ყოველდღიურად არაერთ შეთავაზებას იღებს დასაქმების ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ. სტუდენტთა მყისიერად ინფორმირების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს როგორც სტუდენტების პირად შეხვედრებს დამსაქმებლებთან, ისე სოციალურ ქსელებსა და ოფიციალურ ვებგვერდს, ასევე, დეკანატებსა და SMS შეტყობინებების პრაქტიკას. აღნიშნულის მიუხედავად, უნივერსიტეტმა საჭიროდ მიიჩნია გააქტიუროს სტუდენტთა მომზადება კარიერისთვის და გამონახოს დამსაქმებლებთან ურთიერთობის ახალი ფორმები. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.4.3	**კურსდამთავრებულთა პლატფორმის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	**2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აღნიშნული პლატფორმის შექმნა იგეგმება იმ ჯგუფთან ერთად, რომელიც ამუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის პლატფორმას. **დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 1.4.5	**შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების მყისიერად ინფორმირების სისტემის განვითარება.**

მონიტორინგის პერიოდი	**2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით შესწავლილ იქნა 44 სტუდენტის მოსაზრება ინფორმირების ოპერატიულობისა და შედეგების თაობაზე. ასევე, შემოწმდა ინფორმირებისათვის გამოყენებული სხვა ფორმები: ვებგვერდი, სოციალური ქსელი და SMS შეტყობინებები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი სისტემატურად, ყოველკვირეულად, უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით: ვებგვერდი, სოციალური ქსელი, SMS შეტყობინებები. ამასთან, უნივერსიტეტი პარტნიორი ორგანიზაციებისაგან ყოველდღიურად მიღებული სხვადასხვა შეთავაზების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების მიზნით იყენებს სხვა აქტივობებსაც: სტუდენტების პირად შეხვედრებს დამსაქმებლებთან, საჯარო ლექციებსა და მასტერკლასებს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.4.6	**სტუდენტთა ფსიქოლოგიური მომსახურების სისტემის დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	**მონიტორინგის პერიოდი - 2028-2019 სასწავლო წელი / 6 თვის შედეგებით**
კვლევის მეთოდი	**სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი.** საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები, სულ 29 წევრი, შეჯამდა სამიზნე პოპულაციის მოსაზრებები. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: რექტორის ბრძანება, ხელშეკრულება.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევით დადგინდა, რომ სტუდენტთა ფსიქოლოგიური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილია 1 საშტატო ერთეული. სპეციალისტი, საჭიროებისამებრ, ეხმარება სტუდენტებს ისეთ

	გავრცელებულ ფსიქოსოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: შფოთვა, დაქვეითებული გუნება-განწყობილება, სხვადასხვა შიში, ურთიერთობის პრობლემები, სტრესის შედეგად განვითარებული მდგომარეობა, ემოციების მართვა და ა. შ. ტარდება როგორც ინდივიდუალური, ისე, ჯგუფური კონსულტაციები. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.7	**სტუდენტთა შეხვედრების ორგანიზება შემოქმედებით და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებთან, საღამოების, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	**2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	**სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი** მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი თემის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ და დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 31 სტუდენტის კმაყოფილება. შესწავლილ იქნა კულტურული, სამეცნიერო და სპორტული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტები, ვებგვერდი და სხვა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სტუდენტთა უწყვეტი განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის დღის წესრიგში მუდმივად განიხილება ახალგაზრდების სამეცნიერო-კვლევითი, კულტურული და სპორტული საქმიანობის გააქტიურება. გამოკითხულთა შეფასებითა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში სტუდენტების ინიციატივით/მონაწილეობით მომზადდა და ჩატარდა მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებები, კერძოდ: ყოველწლიური, ტრადიციული, **Welcome Party – 2018** - პირველკურსელთა მიღების საზეიმო წვეულება და **GRADUATRION-2018** - კურსდამთავრებულთა გაცილების საზეიმო

	ცერემონია - **სექტემბერი/ოქტომბერი, 2018 წელი** **https://gruni.edu.ge/main/news/1538998848** **https://gruni.edu.ge/main/news/1539148494** მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი - **29 სექტემბერი, 2018;** https://gruni.edu.ge/main/news/1538543540 სან დიეგოს უნივერსიტეტთან ამხანაგური მატჩი ფეხბურთში - **22 ოქტომბერი, 2018;** https://gruni.edu.ge/main/news/1540287924 გრუნის სამართლის სკოლის სტუდენტების შეხვედრა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) წევრებთან - **10 ოქტომბერი, 2018 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1539837861 ესეების კოკურსი ნატოს შესახებ- **1 ნოემბერი, 2018;** **https://gruni.edu.ge/main/news/1541082662** სტუდენტების შეხვედრა სახალხო დამცველთან - **2 ნოემბერი, 2018 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1541223268 ღია საუბრების ციკლი ბათუმის წარმომადგენლობაში: „პიროვნების გაცნობიერება - ვინ ვარ მე?“- შშმ სტუდენტის თამილა მახარაძის ინიციატივა – **29 ოქტომბერი, 2018 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1541082920 ფეხბურთის ტრადიციული შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი „რობაქიძის თასი“, სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივა - **26,27,29 ოქტომბერი, 2018 წელი;** **https://gruni.edu.ge/main/news/1541082367** სტუდენტების შეხვედრა ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან არად ბენკოსთან, საქართველოს პარლამენტში - **22 ოქტომბერი, 2018 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1540357240 შეხვედრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის ასოცირებულ პროფესორთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან მარინე შაქარაშვილთან და საჯარო ლექცია „ჭარბწონიანობა და სისუქნე“ -**14 ნოემბერი, 2018 წელი;** **https://gruni.edu.ge/main/news/1542623440** შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის - „ლეონარდო და ვინჩის“ მოსწავლე- გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის გამარჯვებულებისა და ფინალისტების

	მოწვევა გრუნიში - **29 ნოემბერი, 2018 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1543574720 https://gruni.edu.ge/main/news/1542689034 საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის - სოფიო კილაძის, მოწვევა და საჯარო ლექცია გრუნიში - „სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და ადამიანის უფლებები“ – **4 დეკემბერი, 2018 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1544079763 შეხვედრა ფრანკოფონიის სააგენტოს წარმომადგენლებთან, - **21 დეკემბერი, 2018 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1545798538 საახალწლო საღამო, - **21 დეკემბერი, 2018 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1546156399 საშობაო სკოლა გრუნიში, ერთკვირიანი შეხვედრები არაფორმალური განათლების საკითხების შესახებ **- 8 იანვარი, 2019 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1547805604 საქართველოში გრიპისა და წითელას ეპიდემიის გამო შეხვედრა დარგის სპეციალისტებთან: პროფესორ მალვინა ჯავახაძესთან და პროფესორ ივანე ჩხაიძესთან - **21 თებერვალი, 2019 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1550729182 სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების შეხვედრა საქართველოს პარლამენტის წევრთან ნინო გოგუაძესთან და საპენსიო სააგენტოს დირექტორთან ლევან სურგულაძესთან, განსახილველი თემა: „დაგროვებითი საპენსიო სისტემა საქარტველოში“ -**11 მარტი, 2019 წელი;** https://gruni.edu.ge/main/news/1552538769 საჯარო ლექცია –“დისკრიმინაციის შემთხვევები და მათზე რეაგირება“ - სტუდენტების შეხვედრა “საფარის“ აღმასრულებელი დირექტორთან - ბაია პატარაიასთან, **2019 წლის 28 მარტი.** https://gruni.edu.ge/main/news/1553837617 **2019 წლის 3 აპრილს** საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ტექნოპარკში შეხვედრა გამართა საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან და განიხილა განათლების რეფორმა. შეხვედრას სხვა სტუდენტებთან ერთად ესწრებოდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის II კურსის სტუდენტი, ახალგაზრდა

	გამომგონებელთა კონკურსის: „ლეონარდი და ვინჩის“ - ორგზის გამარჯვებული გიორგი ნიორაძე და სამართლის სკოლის III კურსის სტუდენტი, საფრანგეთის ნანტის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის კურსდამთავრებული თიკო აბულაძე. თიკო აბულაძის მიერ პრემიერისათვის დასმული შეკითხვა შეეხებოდა შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას და სტუდენტთა დასაქმებას. მან მამუკა ბახტაძეს გაუზიარა ნანტის უნივერსიტეტისა და ზოგადად ევროპული საგანმანათლებლო სისტემის გამოცდილება, სადაც სწავლის პერიოდშივე სავალდებულოა სტუდენტთა სტაჟირება, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმებას უწყობს ხელს. **https://gruni.edu.ge/main/news/1554547654** ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს პროექტი: „ფრანგული სამზარეულო“ - უნივერსიტეტის ფრანგული ენის შემსწავლელი კურსის სტუდენტებმა წარადგინეს - **19 მარტი, 2019 წელი; https://gruni.edu.ge/main/news/1553077761** **2019 წლის 26 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფრანკოფონმა სტუდენტებმა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან (AUF) ერთად საქართველოს მოქალაქეებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს. სტუდენტებმა ქუჩებში საჩუქრები დაარიგეს და გამვლელებს გააცნეს საუნივერსიტეტო სააგენტოს მხარდაჭერით ფრანკოფონიის მიმართულებით განხორციელებული პროექტები. https://gruni.edu.ge/main/news/1559804699 დედაენის დღესთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსში, რომელიც სახელმწიფო ენის ცოდნას ამოწმებდა, გრუნის სტუდენტებმა თიკო აბულაძე (სამართლის სკოლა), გვანცა ექიზაშვილი და მარიამ ფარცვანია (ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია) წარმატებას მიაღწიეს. https://gruni.edu.ge/main/news/1556081598 **2019 წლის 7-16 მაისს** თბილისში "სტუდენტური ფესტივალი - 2019" გაიმართა, რომელშიც გრუნის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. კონკურსის ფარგლებში გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტები სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ, არასაკონკურსო პროგრამის ფარგლებში კი ფესტივალზე წარდგენილი იყო მეწარმე სტუდენტის - გვანცა დარჩიაშვილის, ნამუშევრები,

	კრიმინალისტიკის ლაბორატორია და სტომატოლოგია. https://gruni.edu.ge/main/news/1559107115 მედიცინის სკოლის მესამე დონის სტუდენტების საჯარო ლექცია ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით - **27 მარტი, 2019 წელი; https://gruni.edu.ge/main/news/1554099259** **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.8	**სტუდენტთა ინიციატივების წახალისება-სტარტაპების სისტემის დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივლისი, 2019
კვლევის მეთოდი	**კვლევის მეთოდი:** გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. მონიტორინგის კომისიამ არსებული ვითარების დასადგენად, რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებით, კერძოდ კი, დახურული კითხვარის მეშვეობით, გამოკითხა სამიზნე ჯგუფის 52 წევრი / სტუდენტი. დოკუმენტების ანალიზით შემოწმდა განხორციელებული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები: ფონდის დებულება, ოქმები, სტუდენტური თვითმმართველობის სამოქმედო გეგმები, საფინანსო დოკუმენტები და გრუნის ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევით დადგინდა, რომ უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივების ფონდი, რომელიც აფინანსებს, არამარტო კვლევით პროექტებს, არამედ სტუდენტთა და პერსონალის ინიციატივებს. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა სტუდენტთა არაერთ ინიციატივას დაუჭირა მხარი, კერძოდ: საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მხარი დაუჭირა სტუდენტური თვითმმართველობისა და ცალკეული სტუდენტის **13** ინიციატივას. **კონკრეტული ღონისძიებები:** **24 ოქტომბერი, 2018 წელი** - სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, უნივერსიტეტში გამართა საქველმოქმედო აქცია- „გაიღე სისხლი-გადაარჩინე სიცოცხლე“, რომელშიც 32 სტუდენტმა და

	ადმინისტრაციის თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. https://gruni.edu.ge/main/news/1540458251 **2018 წლის 26 ნოემბერს** სტუდენტებისათვის დაიწყო პროექტი სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, პროექტს ხელმძღვანელობდა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტი მაკა კუკავა, პროექტის განსახორციელებლად უნივერსიტეტმა გამოყო 1500 ლარი; https://gruni.edu.ge/main/news/1543579757 **2018 წლის 29 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში შშმ სტუდენტის თამილა მახარაძის ინიციატივით დაიწყო ღია საუბრების ციკლი: "პიროვნების გაცნობიერება - ვინ ვარ მე?" შეხვედრაზე თამილა მახარაძემ ისაუბრა თავისი ცხოვრებისა და ზოგადად საზოგადოებაში პიროვნების როლსა და მნიშვნელობაზე, იმ მენტალიტეტზე, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს შშმ პირების მიმართ და დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა თავისი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. https://gruni.edu.ge/main/news/1541082920 **2018 წლის 15 ნოემბერს** ახალგაზრდა გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვიჩის" გამარჯვებულისათვის უნივერსიტეტმა, ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტის გიორგი ნიორაძის ინიციატივით, დააწესა 100%-იანი სასწავლო გრანტი. გიორგი ნიორაძე აღნიშნული კონკურსის ორგზის გამარჯვებულია. საუნივერსიტეტო გრანტი გადაეცა კონკურსის გამარჯვებულ გუნდს - "HEALTH CARE"-ს. https://gruni.edu.ge/main/news/1542689034 **2018 წლის 28 დეკემბერს** სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივითა და უნივერსიტეტის მხარდაჭერით გრუნის სტუდენტები 3 ხელმოკლე ოჯახს ესტუმრნენ და ტანსაცმელი, ტკბილეული და სხვადასხვა საჩუქარი მიუტანეს წინასაახალწლოდ. https://gruni.edu.ge/main/news/1547622369 **2018 წლის 21 დეკემბერს** სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივითა და უნივერსიტეტის მხარდაჭერით, გაიმართა საახალწლო საღამო, რომელზეც ახალგაზრდებთან ერთად პროფესორ-მასწავლებლებიცა და ადმინისტრაციის თანამშრომლებიც იყვნენ მიწვეული. https://gruni.edu.ge/main/news/1546156399 **2019 წლის 12 იანვარს** სტუდენტების ინიციატივითა და უნივერსიტეტის მხარდაჭერით მოსწავლეებისათვის გაიმართა საშობაო

	სკოლა, პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა დაათვალიერეს დავით სონღულაშვილის რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია და ერთი კვირის განმავლობაში, სტუდენტებთან და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად განიხილავდნენ ბავშვთა უფლებებს, საზოგადოებაში მიღებული ეტიკეტის წესებს, საუბრობდნენ ლოგიკური აზროვნების პრინციპების, ლიდერობის, გუნდური მუშაობის, არაფორმალური განათლების, გარემოს დაცვისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1547805604 **2019 წლის 5-7 აპრილს** გრუნის ორი სტუდენტი - ხატია შალვაშვილი და ანა კვარაცხელია, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ქართველ და უკრაინელ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ ჰაკათონის ხასიათის ბანაკის მუშაობაში, რომელიც ეძღვნებოდა ეკოსისტემის შესახებ საქართველოსა და უკრაინის სტარტაპების გაცნობას. https://gruni.edu.ge/main/news/1555302744 **2019 წლის 7-16 მაისს** თბილისში "სტუდენტური ფესტივალი - 2019" გაიმართა., რომელშიც, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, გრუნის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. კონკურსის ფარგლებში გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებმა საკონკურსო და არასაკონკურსო პროგრამებშაი მიიღეს მონაწილეობა. https://gruni.edu.ge/main/news/1559107115 **2019 წლის 24 ივნისს** სტუდენტების ინიციატივითა და უნივერსიტეტის მხარდაჭერით ახალგაზრდები თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს ეწვივნენ. პანსიონატის ბინადართ საჩუქრები მიუტანეს და მათი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ საინტერესო ისტორიებიც მოისმინეს. https://gruni.edu.ge/main/news/1562219739 **2019 წლის 27 ივლისიდან 2 აგვისტოს** ჩათვლით საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის ქართულ-გერმანული სამაგისტრო პროგრამის წარჩინებული სტუდენტები, უნივერსიტეტის დაფინანსებით, ბელგიასა და ლუქსემბურგში იმყოფებოდნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1565332018 **6 მარტი, 2019 წელი.** უნივერსიტეტი სტუდენტებს განიხილავს როგორც მნიშვნელოვან სოციალურ ფენას და ხელს უწყობს მათი შემოქმედებითი ველის გაფართოებას. იცნობდეთ წარმატებულ სტუდენტსა და სტარტაპერს! გვანცა დარჩიაშვილს, რომელმაც მაღალი დონის განათლების მიღების გარდა, შექმნა საკუთარი სტარტაპი და გეგმავს მის ბიზნესად ქცევას. მან დაარსა მედარტი - MEDART, რომელიც ექიმებისთვის ქმნის ორიგინალურ, ნაციონალურ-

	დეკორაციული აქსესუარებით გაფორმებულ თეთრ ხალათებს. https://gruni.edu.ge/main/news/1551935236 **2018 წელს** უნივერსიტეტის სტუდენტებმა - დავით დუდაშვილმა (სამართლის სკოლა), შოთა ფუტკარაძემ (ბიზნესისა და მართვის სკოლა) და ნიკოლოზ ადუაშვილმა (საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა) საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით საქართველოში დააარსეს ინდუსტრიული მონაცემების აგრეგირებისა და ცენტრალიზაციის კომპანია „ Airhub"-ი. კომპანიის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის დავით დუდაშვილს, რომელმაც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საფრანგეთში სწავლისას შეიტყო ამ ტექნოლოგიის შესახებ, თავის მეგობრებთან ერთად დაამუშავა მეთოდოლოგია და დაარსა კომპანია. კომპანია უკვე ოთხი თვეა ფუნქციონირებს და ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციების, სამშენებლო და ნავთობ/გაზ ინდუსტრიებში მოღვაწე კომპანიებს უწევს მომსახურებას, კერძოდ, ინდუსტრიული დრონებისა და დარგობრივი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით ახორციელებს ინფრასტრუქტურისა და პროექტების ინსპექტირებას, ამცირებს ხარჯებს, ზრდის სიზუსტესა და ზოგავს დროს. შესაბამისად, დღეისათვის საქართველოს ინდუსტრიულ ბაზარზე Airhub-ი არის ამ სფეროში ყველაზე თანამედროვე და ინოვაციური სტარტაპი. https://gruni.edu.ge/main/news/1530682986 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.9	**პირველი აკადემიური წლის სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით ე.წ. „აკადემიური ნათლიის" ინსტიტუტის დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი/პირველკურსელები, სულ 43 სტუდენტი, ხოლო დოკუმენტების ანალიზით შემოწმდა არსებული დებულება და აკადემიური ნათლიის ინსტიტუტის მასალები, ასევე, ოფიციალური ვებგვერდი.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგად დადგენილია, რომ პირველი აკადემიური წლის სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, პროფესორ ანა ფირცხალაშვილის ინიციატივით, უნივერსიტეტში დაინერგა ე.წ. „აკადემიური ნათლიის“ ინსტიტუტი . ყოველწლიურად უნივერსიტეტის ყველა სკოლაში იმართება საბაკალავრო პროგრამის პირველკურსელთა ე.წ. აკადემიური ნათლობა. პირველკურსელები აკადემიურ ნათლიად ირჩევენ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საუნივერსიტეტო სივრცეში მეგზურობას უწევენ და ეხმარებიან ახალბედა სტუდენტებს საუნივერსიტეტო რეალობასთან შეგუებაში. https://gruni.edu.ge/main/news/1538994207 საანგარიშო პერიოდში აკადემიური ნათლობა მიიღო 350-მდე პირველკურსელმა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.5.1	**დებულების შემუშავება სტუდენტის ომბუდსმენის შესახებ და კონკურსის გამოცხადება სტუდენტთა შორის კანდიდატურების შესარჩევად**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობის თაობაზე მონიტორინგის ჯგუფმა გამოიყენა დოკუმენტების ანალიზის მეთოდი, კერძოდ, შესწავლილ იქნა საანგარიშო პერიოდში დოკუმენტურად დადასტურებული სამუშაოები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევამ ცხადყო, რომ ომბუდსმენის ოფისის ძირითადი მიზანია სტუდენტების უფლებების დაცვა შიდასაუნივერსიტეტო სივრცეში. მისი უპირატესობა სხვა მექანიზმებთან მიმართებით გამოიხატება იმაში, რომ

	იგი მთლიანად ფორმირდება უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან, რაც განაპირობებს ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ფორმალობებისაგან პოტენციური განმცხადებლების გათავისუფლებას. ომბუდსმენის სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა იყოს მაქსიმალურად ქმედითი, მიუხედავად გაწერილი პროცედურებისა, სამსახური ორიენტირებულია გამარტივებული ფორმით, მოკლე ვადებში უზრუნველყოს სტუდენტთა დახმარება. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემსაოღებად, კერძოდ, შეიმუშავა სტუდენტური ომბუდსმენის არჩევის წესი და კრიტერიუმები, რომლის მიხედვით: გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში სტუდენტთა ომბუდსმენად, ერთი წლის ვადით, კონკურსის წესით, აირჩევა სამართლის სადოქტორო, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. მას დაეხმარებიან ომბუდსმენის მოადგილე და ომბუდსმენის ოფისის სხვა წევრები. ომბუდსმენად, მხოლოდ სტუდენტები იქნებიან არჩეულნი, რაც კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტთა ნდობას ამ ინსტიტუტის მიმართ, მით უფრო, თუ იგი იმოქმედებს სრული დამოუკიდებლობის, სამართლიანობის, კონფიდენციალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.5.2	**ტრენინგის ჩატარება სტუდენტთა ომბუდსმენის საქმიანობის საკითხებზე**
მონიტორინგის პერიოდი	**2028-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ და დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 44 სტუდენტი,

	შესწავლილ იქნა სტუდენტური ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით მომზადებული დოკუმენტები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, სტუდენტთა ომბუდსმენის საქმიანობის საკითხებზე სამართლის სკოლის ორგანიზებითა და პერსონალის მონაწილეობით ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა სკოლის სტუდენტებისთვის. ტრენინგის ჩატარების აუცილებლობა აღნიშნული წესისა და კრიტერიუმების, ასევე, სტუდენტთა ომბუდსმენის მოახლოებული არჩევნების პროცესის გაცნობას უკავშირდებოდა. შეხვედრებზე სტუდენტები გაეცნენ ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების მიზანსა და ამოცანებს. აღინიშნა, რომ ომბუდსმენის ოფისის ძირითადი მიზანია სტუდენტების უფლებების დაცვა შიდასაუნივერსიტეტო სივრცეში, მისი უპირატესობა სხვა მექანიზმებთან მიმართებით გამოიხატება იმაში, რომ იგი მთლიანად ფორმირდება უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან, რაც განაპირობებს ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ფორმალობებისაგან პოტენციური განმცხადებლების გათავისუფლებას. ომბუდსმენის სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა იყოს მაქსიმალურად ქმედითი, მიუხედავად გაწერილი პროცედურებისა, სამსახური ორიენტირებულია გამარტივებული ფორმით, მოკლე ვადებში უზრუნველყოს სტუდენტთა დახმარება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 2.1.1	**სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის მართვის პლატფორმის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი ინტერვიუში ჩართული იყო 45 აკადემიური პერსონალი და ახალგაზრდა მკვლევარი.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	დოკუმენტების ანალიზმა, ფაქტობრივ მდგომარეობაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ უნივერსიტეტს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად, ჩამოაყალიბებული აქვს საქმიანობის დაგეგმვა-ანგარიშგებისა და შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, როგორც ინსტიტუციის, სამეცნიერო საქმიანობის შეფასებასა და ცალკეული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებას თვითანგარიშისა და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. მეთოდოლოგია ეფუძნება მრავალკომპონენტიან სისტემას. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობა ფასდება ორი კომპონენტით: ა) სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა; ბ) პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა. უნივერსიტეტი მუშაობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ბაზის შექმნაზე, რომელიც, ამ ეტაპზე, მოიცავს 4 კომპონენტს: • აკადემიური პერსონალის დატვირთვა (ინდივიდუალური); • აკადემიური პერსონალის თვითშეფასება; • აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასება; • აკადემიური პერსონალის დატვირთვა (შემაჯამებელი). **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად.**

აქტივობა 2.1.6	**საბიბლიოთეკო რესურსის გაფართოება საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფისა და ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის კვლევების საჭიროების შესაბამისად**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები და აკადემიური პერსონალი,

	სულ 67 წევრი, შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: განახლებული წიგნადი ფონდი - ნაჩუქარი, ნაყიდი, ელექტრონული და ფიზიკური სახით; სამეცნიერო ელექტრონული ბაზები. საბიბლიოთეკო რესურსების შესყიდვისა და აღრიცხვის სისტემა, ასევე, სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი სრულად აკმაყოფილებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მოთხოვნებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სათანადოდ წარმართვისათვის. ყოველწლიურად ახლდება წიგნადი ფონდი და ელექტრონული ბაზები, დისციპლინების მიხედვით ემატება სავალდებულო და დამხმარე სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ლიტერატურა. აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე კვლევები და სხვადასხვა ქვეყნის მიღწევები ამა თუ იმ დარგში და სხვა. კერძოდ: სანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა და განახლდა მედიცინის, საჯარო მმართველობის, სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, ფსიქოლოგიის, მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ინგლისური და ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა/სახელმძღვანელო. 2018-2019 სასწავლო წელს ბიბლიოთეკაში როგორც ნაყიდი, ისე ჩუქების სახით, შემოსულია **180** ერთეული წიგნი ფიზიკური სახით. **51** ერთეული ჟურნალი და **27** ელექტრონული წიგნი. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო ფონდების დიგიტალიზაცია. ყოველწლიურად ახლდება ხელშეკრულება გამომცემლობა „მაცნესთან“, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის დახმარებით, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს აქვთ წვდომა Elsevier-ის ბაზებზე. აგრეთვე, გაფორმებულია ხელშეკრულება ,,EBSCO''-ს სამეცნიერო ბაზის გამოყენების შესახებ. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა დაიწყო მოლაპარაკება სამეცნიერო ბაზასთან -„ჰეინონლაინ“, თანამშრომლობის თაობაზე. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.7	**ნომინაციის „წლის კვლევა“ დაწესება**

მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	**კვლევის მეთოდი:** დოკუმენტაციის ანალიზი. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: რექტორის ბრძანება, შეფასების კრიტერიუმები და სხვა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა დაიწყო მზადება ნომინაციის დასაწესებლად. გამოიცა რექტორის ბრძანება აღნიშნულის თაობაზე, შემუშავდა ნომინაციაზე წარდგენის წესი, დადგინდა კრიტერიუმები გამარჯვებულის გამოსავლენად, კერძოდ: შერჩევა განხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობის/შედეგების მიხედვით, ყოველი წლის ბოლოს შეჯამდება შედეგები და გამოვლინდება გამარჯვებული. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 2.1.9	**ციტირების ინდექსის გაზრდის ხელშეწყობისათვის პრემირების სისტემის შემუშავება და განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: რექტორის ბრძანება პრემირების სისტემის შემოღების შესახებ, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტი, ციტირების ინდექსი და სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევით დადგენილია, რომ გამოიცა რექტორის ბრძანება ციტირების ინდექსის გაზრდის ხელშეწყობისათვის პრემირების სისტემის შემოღების

	შესახებ. პრემირება განხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ. მომზადებულია, ასევე, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტი, რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მისი მართვისა და ფინანსირების საკითხებს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევების ხარისხის განვითარებასა და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ინტეგრირებას. მათ შორის, ციტირების ინდექსის საკითხსაც. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.3	**Science Publish Corporation- თან პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი, **ივნისი , 2019**
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. ანკეტირების მეშვეობით გამოიკითხა ადმინისტრაციაში აღნიშნული საკითხის უშუალო განმახორციელებლი სტრუქტურის - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის - პერსონალი. შესწავლილ იქნა შესაბამის კომპანიასთან თანამშრომლობისა და აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გაწეული საჭირო პროცედურები და დოკუმენტები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მიმდინარეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მოლაპარაკებები **Science Publish Corporation- თან** და თანამშრომლობისათვის საჭირო პროცედურების მოსამზადებლად შესაბამისი დოკუმენტაციის/ხელშეკრულების შემუშავება . **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად.**
აქტივობა 2.2.4	**ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად, უნივერსიტეტში, ევრაზიის ტრადიციული ფორუმის ჩატარების ორგანიზება**

მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი/ სექტემბერი, 2019
კვლევის მეთოდი	**კვლევის მეთოდები:** გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად სპეციალურად შემუშავებული დახურული კითხვარის საშუალებით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები/ფორუმის მონაწილეები და ორგანიზატორები, საერთაშორისო ინტეგრაციის სამსახურის თანამშრომლები, სულ კვლევის 36 მონაწილე. დოკუმენტურად შესწავლილ იქნა ფორუმის მასალები: დღის წესრიგი, განხილული საკითხები, მოწვეული სტუმრები, კრებულად გამოცემული ფორუმის მასალები, ასევე, ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, ფორუმი მნიშვნელოვანი სამეცნიერო მულტიდისციპლინური შეკრებაა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მეცნიერებსა და ახალგაზრდა მკვლევრებს ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და თანამედროვე მიღწევები სხვადასხვა სფეროში. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 2011 წლიდან თანამშრომლობს ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან (მაკედონია) და საანგარიშო პერიოდში, **2018 წლის 6-7 სექტემბერს,** უკვე მერვედ გაიმართა ევრაზიის ერთობლივი ფორუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა: ქართველი, თურქი, იორდანელი, აზერბაიჯანელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების 40 მეცნიერი და სტუდენტი. კონფერენციის მონაწილეებმა წარმოადგინეს კვლევის შედეგები მედიცინის, სამართლის, ბიზნესის, ტურიზმის სფეროში. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები უნივერსიტეტმა კრებულის სახით გამოსცა. https://gruni.edu.ge/main/news/1536920353 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.6	**ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის დაარსება უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტთან**

მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა შესაბამისი სამსახურების: სამეცნიერო ცენტრის, საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის, ასევე, დეკანები (9).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 2.2.8	**ჰარვარდის ბიზნესსკოლასთან, აფილირების ფარგლებში, თანამშრომლობის გაგრძელება და ერთობლივ კვლევებში ჩართვა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი -აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, სულ 13 წევრი, შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: ერთობლივად განხორციელებული კვლევები და სხვა აქტივობები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**2018 წლის დეკემბერში** უნივერსიტეტი მესამედ მონაწილეობდა ბოსტონში, ჰარვარდის ბიზნესსკოლის აფილირებული წევრი უნივერსიტეტებისა და აკადემიური პერსონალის ყოველწლიურ სამუშაო შეხვედრაში. კერძოდ, უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარვარდის ბიზნესსკოლის აფილირებული დოქტორი („Microeconomics of Competitiveness„ კურსის ფარგლებში), შოთა საღრიშვილი მიწვეული იყო სესიაზე „აფილირებული ინსტიტუტების კოლაბორაციის შესაძლებლობები“. ბოსტონში გამართული სამუშაო ფორმატის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მონაწილეობა „Institutes Council”-ის შეხვედრაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა იტალიის “LIUC-Carlo Cattaneo”-ს უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარვარდის ბიზნეს სკოლის აფილირებული დოქტორი („Microeconomics of Competitiveness„ კურსის ფარგლებში), ფერნანდო ალბერტი; სადაც, ასევე, ისაუბრეს, მაღალი კონკურენტუნარიანი გარემოს

	შექმნის თვალსაზრისით, ქვეყნებსა და რეგიონებში უნივერსიტეტების განსაკუთრებულ როლზე. https://gruni.edu.ge/main/news/1545132935 შემუშავდა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს დასაფინანსებლად წარედგინა ფუნდამენტური კვლევითი პროექტი, რომელიც შეეხება საქართველოში ტურისტული კლასტერების განვითარების პოტენციალს. დაფინანსების მიღების შემთხვევაში ნავარაუდევი იყო კვლევის შედეგების ჰარვარდის ბიზნესსკოლის, კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკის ყოველწლიურ ვორკშოპზე წარდგენა. თუმცა ამ ეტაპზე არ განხორციელდა დაფინანსება ფონდის მხრიდან. ბიზნესისა და მართვის სკოლა გააგრძელებს ფონდების მოძიებას აღნიშნული მიმართულებით. **დასკვნა: აღნიშნული საკითხის მონიტორინგი განხორციელდა დროულად, სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 2.3.1	**სასწავლო-კვლევითი ლაბი - კრიპტო ვალუტის, მაინინგის ფერმის მოწყობა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - ბიზნესის მიმართულების აკადემიური პერსონალი (10), შემოწმდა გაწეული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მიმდინარე შეხვედრებისა და მოლაპარაკებების, ასევე, სხვა აქტივობების ჩატარების ამსახველი დოკუმენტები და სხვა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა აქტიურად დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ამ მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში გაიმართა სხვადასხვა შეხვედრა დარგის სპეციალისტებთან, პარტნიორებთან, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროს

	წარმომადგენლებთან, გრუნი მასპიძლობდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, მონაწილეობდა ბათუმის STEM ფესტივალში, და ა.შ. **2018 წლის 6 ოქტომბერს** უნივერსიტეტმა პარტნიორობის ფარგლებში უმასპინძლა პროექტის - „ერთობა ინოვაციური განათლებისთვის“, სამუშაო ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობს „განათლების მეცნიერებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების აკადემიის“ დირექტორი ნატო გოგატიშვილი. მოწვეულმა სტუმრებმა უნივერსიტეტს გააცნეს საგრანტო პროექტი, რომლის მიზანია ინოვაციებითა და ტექნოლოგიებით დაინტერესებულ პირთა შორის სამუშაო შეხვედრების გამართვა, ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, სიახლეების გაცნობა, გამოცდილების გაზიარება, ადგილობრივი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა, ორგანიზაციათა ერთიანი ბაზის შექმნა და სამომავლოდ- ღონისძიებების დაგეგმვისა და პროექტების განხორციელების მიზნით - ერთობის ჩამოყალიბება. https://gruni.edu.ge/main/news/1539168989 **2018 წლის 21 ნოემბერს** უნივერსიტეტსა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის გაფორმებული მემორანდუმიც ითვალისწინებს სტარტაპების მხარდაჭერასა და უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის სკოლების ბაზაზე ბლოკჩეინ ლაბორატორიის შექმნის ხელშეწყობას; https://gruni.edu.ge/main/news/1542876431 **2019 წლის 19 აპრილს** ბიზნესისა და მართვის სკოლის მოწვევით უნივერსიტეტში გაიმართა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის - თეიმურაზ ჩიჩუას, საჯარო ლექცია „ტექნოლოგიები და ინოვაციები XXI საუკუნეში“. https://gruni.edu.ge/main/news/1556082257 **2019 წლის 5 მაისს** ბათუმში STEM ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ორგანიზატორი იყო მეცნიერების, განათლებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების აკადემია, პარტნიორი კი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. https://gruni.edu.ge/main/news/1557118929 **დასკვნა: აღნიშნული საკითხის მონიტორინგი განხორციელდა დროულად, სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ.**

აქტივობა 2.3.2	**სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების შექმნა**

მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივლისი, 2019
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები, აკადემიური პერსონალი (37), შემოწმდა გაწეული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ბრძანება სტრუქტურული ერთეულის შექმნის შესახებ, სტრუქტურული ერთეული დებულება, შემადგენლობა/საბჭო, სამოქმედო გეგმა, განხორციელებული აქტივობები და სხვა დოკუმენტები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში შეიქმნა ორი სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დოქტორანტის გიორგი მომცელიძის ინიციატივით, გრუნიში იუვენოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია შეიქმნა. ლაბორატორია განახორციელებს ინტერდისციპლინურ სამეცნიერო კვლევებს შემდეგი მიმართულებებით: სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა, განათლება, ახალგაზრდობის პრობლემები და სამართალი, სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკა, ბავშვთა და ახალგაზრდობის უფლებები, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და მოძრაობების ისტორია. ლაბორატორია ხელს შეუწყობს ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ეფექტურად განხორციელებას, ორგანიზებას გაუწევს სწავლებას, ტრენინგებსა და კონსულტაციებს, ამ საკითხებზე გამოსცემს სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ნაშრომებს, ითანამშრომლებს ყველა იმ სტრუქტურასთან, რომლებიც ახალგაზრდულ პრობლემებზე მუშაობენ. https://gruni.edu.ge/main/news/1530076051 **დასკვნა: აღნიშნული საკითხის მონიტორინგი განხორციელდა დროულად, სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 2.3.7	**ნიჭიერ დოქტორანტებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ მათი სწავლის დაფინანსებას და დოქტორანტის მუშაობის დაწყებას აკადემიურ თანამდებობაზე ხარისხის მინიჭების შემდეგ.**

მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი, დეკანები, სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, სწავლული მდივანი, ადამიანური რერსურსების სამსახურის ხელმძღვანელი (9). შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სამიზნე პოპულაციის გამოკითხვითა და დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა შეიმუშავა ახალგაზრდა მკვლევრების/დოქტორანტების მხარდაჭერის სრულიად ახალი კონცეფცია, რომელიც დაეხმარება მათ განვითარებასა და სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებაში. კონცეფცია ეფუძნება ნიჭიერ დოქტორანტებთან ხელშეკრულების გაფორმებას, მათი სწავლის დაფინანსებასა და დოქტორანტების მუშაობის დაწყებას აკადემიურ თანამდებობაზე ხარისხის მინიჭების შემდეგ. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, დაიწყო დაკვირვება დოქტორანტებზე. ამასთან, უნივერსიტეტში პოსტდოქტორანტურის სისტემის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების აკადემიურ საქმიანობაში ჩართულობას. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ.**

აქტივობა 2.4.1	**პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის -TURNITINI, ინტენსიურად გამოყენება და, ეტაპობრივად, ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივლისი, 2019
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სანგარიშო პერიოდში დაიწყო პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის -TURNITINI-ის გამოყენება უნივერსიტეტის სადოქტორო

	საგანმანათლებლო საფეხურზე. შემოწმდა 15 ნაშრომი. **დასკვნა: აღნიშნული საკითხის მონიტორინგი განხორციელდა დროულად, სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 2.4.2	**პლაგიატის აღმოჩენის უნარის გამომუშავების მიზნით ტრენინგების ორგანიზება მეცნიერ-ხელმძღვანელებისა და სტუდენტებისთვის**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი და დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა მიზნობრივი ჯგუფი, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი (37).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხვის შედეგად, დადგენილია, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის გაცნობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური შეხვედრების სახით. მომდევნო საანგარიშო პერიოდებშიც გაგრძელდება მუშაობა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.3	**ანტიპლაგიატის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მომზადება და აკადემიური კომიტეტის სხდომაზე განხილვა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: აკადემიური საბჭოს ოქმი.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აკადემიური კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა ანგარიში ანტიპლაგიატის მიმართულების განხორციელებული საქმიანობის შესახებ, გაწეული საქმიანობა შეფასდა დადებითად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.1.1	**პროფესიული გადამზადების სტრუქტურული ერთეულის ან პასუხისმგებელი პირის გამოყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვის შედეგებით
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: რექტორის ბრძანება, გაფორმებული ხელშეკრულება.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სამოქმედო გეგმის მომზადებისა და დამტკიცების შემდეგ, საანგარიშო პერიოდამდე, აღნიშნულ პოზიციაზე დაინიშნა ბელა კოპალიანი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.1.2	**ბაზრის კვლევა პროფესიებზე მოთხოვნის შესასწავლად და შესაბამისი გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივლისი, 2019

კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი მუშაობს პროექტზე „დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში“, რომელში მოცემული საკვლევი საკითხი განათლების სფეროსაც ეხება. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურმა განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა მედიცინისა და სამართლის მიმართულებებით, კვლევის ანალიზის შედეგები დაედო საფუძვლად: მედიცინის ახალი, ინგლისურენოვანი პროგრამის მომზადებას; სამართლის საგანმანათლებლო პროგრამაში კორექტივების შეტანას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კვლევა სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. კვლევის ფარგლებში, აღწერის პრინციპის საშუალებით, არსებული ნუსხის შესაბამისად, განხორციელდა უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლების შერჩევა და მათთან დაკავშირება. 80 ორგანიზაციიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 58-მა. მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებელთა მიერ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შრომისნაყოფიერების შეფასება. აღნიშნული ორგანიზაციები, კითხვაზე - კმაყოფილი ხართ, თუ არა რობაქიძის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შრომის ნაყოფიერებით, გამოკითხულთა 91% -მა დადებითად შეაფასა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა 6 ძირითადი გამოწვევა, რომელთანაც გამკლავების მიზნით შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ბიზნესისა და მართვის სკოლის ფარგლებში ჩატარდა საქართველოში პროფესიული ორიენტაციის საკითხების კვლევა. კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ორ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. კვლევის შედეგების მიხედვით ბიზნესისა და მართვის სკოლის აკადემიური პროგრამებში გარკვეული კორექტირების საკითხის განხილვა დაიწყება მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

	საანგარიშო პერიოდში ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ შემუშავებული საგრანტო პროექტი - "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში" შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამარჯვებულ პროექტებს შორის დასახელდა (FR-18-6156). პროექტის ფარგლებში განხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის არსებული თანამშრომლობის მდგომარეობის შესწავლას, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ფორმებისა და მოდელების გამოვლენას. საანგარიშო პერიოდში, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდა საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმის განახლება. სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნა ისეთი სასწავლო დისციპლინები (მაგ.: იუვენოლოგიის პოლიტიკური ანალიზი. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საპარლამენტო სამართალი, დასაქმება და მიგრაცია და სხვა), რომელთა შესახებ თეორიული ცოდნის მოთხოვნა შრომის ბაზარზე არსებობს. გარდა ამისა, შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე მომზადებულ იქნა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც მიენიჭა სრული აკრედიტაცია. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები გამომდინარეობენ შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და მიზნად ისახავენ კონკურენტუნარიან გარემოში სათანადო უნარების მქონე საჯარო მოხელეების მომზადებას. **დასკვნა: აღნიშნული საკითხის მონიტორინგი განხორციელდა დროულად, სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 3.2.1	**სტუდენტური ლექტორიუმის ჩამოყალიბება, რომელშიც გაერთიანდებიან მოხალისე სტუდენტები სკოლის მოსწავლეებთან პოპულარული ლექციების ჩასატარებლად**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვის შედეგებით

კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა სამიზნე პოპულაცია, სტუდენტები/სტუდენტური ლექტორიუმის წევრები (35 სტუდენტი), შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: ჩატარებული ლექციების დამადასტურებელი დოკუმენტები, ოფიციალური ვებგვერდი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წელს სკოლის მოსწავლეების, როგორც განსაკუთრებული სოციალური სუბიექტის, სამოქალაქო/სამართლებრივი ცნობიერებისა და პროფესიული განვითარების, უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების, სტუდენტებში ლიდერის უნარ-ჩვევების გამომუშავების, მოზარდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით ჩამოყალიბდა სტუდენტური ლექტორიუმი, რომელშიც გაერთიანდნენ სხვადასხვა მიმართულების წარჩინებული სტუდენტები. საანგარიშო პერიოდში მათ მოსწავლეებისათვის განახორციელეს არაერთი საინტერესო პროექტი, ჩაატარეს პოპულარული ლექციები სკოლებში, გამართეს შეხვედრა მოსწავლეებთან და მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან, ისაუბრეს მათთან არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტუალური საკითხის შესახებ, ასევე, განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობა, მავნე ჩვევები, ბულინგი, ემოციების მართვა, ჰიპერაქტიულ და შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობა და სხვა. **საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:** **პროექტი: „ერთი დღე ლექტორად“** მიზნად ისახავდა აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობით სტუდენტების დაინტერესებასა და პროფესიული საქმიანობის პოპულარიზაციის ხელშეწყობას. ამასთან ერთად, სტუდენტებში აუდიტორიასთან ურთიერთობისა და ინტერაქტიური კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას. პროექტში მონაწილეობდნენ: სამართალმცოდნეობის/საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. **2018 წლის 18 დეკემბერს პროექტის** ოფიციალური გახსნა გაიმართა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში. **2019 წლის 12 იანვარს** ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა საშობაო სკოლა მოსწავლეებისათვის. სხვადასხვა სკოლის უფროსკლასელები უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან,

	სტუდენტური ლექტორიუმის წევრებთან და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად განიხილავდნენ ბავშვთა უფლებებს, საზოგადოებაში მიღებული ეტიკეტის წესებს, საუბრობდნენ ლოგიკური აზროვნების პრინციპების, ლიდერობის, გუნდური მუშაობის, არაფორმალური განათლების, გარემოს დაცვისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1547010567 https://gruni.edu.ge/main/news/1546597733 https://gruni.edu.ge/main/news/1547805604 **2019 წლის 10 თებერვალს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტური ლექტორიუმის წევრების ინიციატივით ორ დღეს გაგრძელდა ზოგადი უნარების იმიტირებული ერთიანი ეროვნული გამოცდა მოსწავლეებისათვის. რომელშიც თბილისის, რუსთავის, მარნეულის, თიანეთის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, გორის, ქარელის, კასპის, ზესტაფონის, ყვარლის, მცხეთის სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. იმიტირებულ გამოცდამდე მოსწავლეებისათვის გაიმართა ტრენინგი, რომელშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტი-ლექტორებიც მონაწილეობდნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1558415039 https://gruni.edu.ge/main/news/1550043043 სტუდენტური ლექტორიუმის წევრები აქტიურად არიან ჩართული ღია კარის დღეების, Teen Academy-ისა და სხვადასხვა ღონისძიებაში. ეხმარებიან მოსწავლეებს სწორ პროფესიულ ორიენტაციაში. უზიარებენ როგორც უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებულ გამოცდილებას, ისე საქართველოში არსებულ სწავლების პრაქტიკას. აბიტურიენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან კომუნიკაციაში ჩართულია როგორც სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, ისე ბაკალავრები და დოქტორანტები. საანგარიშო პერიოდში სტუდენტური ლექტორიუმის წევრების მიერ გამართულ ლექცია-საუბრებში 1142 -მდე მოსწავლე მონაწილეობდა. https://gruni.edu.ge/main/news/1540809728 https://gruni.edu.ge/main/news/1540209310 https://gruni.edu.ge/main/news/1542171327 https://gruni.edu.ge/main/news/1541414433 https://gruni.edu.ge/main/news/1543820184

	https://gruni.edu.ge/main/news/1545281707 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.2	**სკოლის მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო - შემეცნებითი აქტივობების განხორციელება „Teen Academy"-ის ფარგლებში.**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვის შედეგებით
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ და დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარით გამოიკითხნენ: მოსწავლეები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, დეკანები (45), შემოწმდა გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, მოსწავლეების საგანმანათლებლო, პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისა და უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების მიზნით 2011 წლიდან ფუნქციონირებს მოზარდთა აკადემია „Teen Academy", რომელიც გრუნის ყველაზე მასშტაბური პროექტია, წლების განმავლობაში მან არაერთი წარმატებული მოსწავლე შესძინა უნივერსიტეტს, რომლებიც ყოველთვის გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, აქტიურობითა და მიზანდასახულობით. აქტიური დისკუსია, კანონშემოქმედებითი საქმიანობა, იმიტირებული პროცესები, შეხვედრები პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან მიზნად ისახავს მოსწავლეების პროფესიულთან ერთად ლიდერული უნარ-ჩვევების შეძენასაც. ყოველწლიურად იზრდება პროექტში მონაწილეთა რიცხვი. პროექტის ფარგლებში საუკეთესო მოსწავლეები იღებენ საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტსა და სხვადასხვა პრიზს. 2019 წელს „Teen Academy", 20 თებერვალს დაიწყო. **პროექტი "Teen Academy-2019 " :** პროექტის ფარგლებში მოსწავლეები 6 სხვადასხვა სპეციალობას გაეცნენ. **განხორციელებული პროექტები:**

	1. გახდი ფსიქოლოგი - 80 https://gruni.edu.ge/main/news/1551504840 2.მედიაცია - 98 https://gruni.edu.ge/main/news/1550923892 3.გახდი პოლიტიკოსი - 61 https://gruni.edu.ge/main/news/1552361536 4.ბიზნესის ადმინისტრირება და მენეჯმენტი - 50 https://gruni.edu.ge/main/news/1553236308 5. გახდი სტომატოლოგი - 35 https://gruni.edu.ge/main/news/1552282270 6.გახდი ჟურნალისტი - 50 https://gruni.edu.ge/main/news/1553057085 სულ: 374 მოსწავლე მონაწილეობდა პრიზები: პროექტი „მედიაცია“ გამარჯვებულებს: სანდრო გაგიშვილსა და მაკა პარსალიშვილს - გადაეცათ 100%-იანი საუნივერსიტეტო გრანტი ამავე პროექტის მეორე ადგილის მფლობელებს: ლიზი გელაშვილსა და ომეხ კუტალაძეს თითოეულს 2250 ლარი სწავლის დასაფინანსებლად. პროექტი „ გახდი პოლიტიკოსი“ კანონშემოქმედებით საქმიანობაში გამარჯვებულ გუნდის „ხალხის ხმა“ თითოეულ წევრს: ლუკა ნიშნიანიძეს, სანდრო გაგიშვილსა და მარი რუბაშვილს გადაეცა 3000- ლარიანი სასწავლო გრანტი ყველა (374) მონაწილემ მიიღო 5%-იანი საუნივერსიტეტი გრანტი. დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 3.2.3	საჯარო სამსახურის მოხელეთა საკონსულტაციო ცენტრის მუშაობის გაგრძელება და სამართლებრივი საკონსულტაციო მომსახურების პლატფორმის დამატება

მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი თემის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ და დოკუმენტაციის ანალიზი. გამოიკითხნენ: სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, დეკანები (35)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	2019 წლის 27 თებერვალს დედაქალაქის საკრებულოში გაიმართა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საჯარო მოხელეთა საკონსულტაციო ცენტრის ოფიციალური წარდგენა. შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანმა, პროფესორმა ანა ფირცხალაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს ცენტრის მიზნები და ფუნქციები გააცნო, ისაუბრა, საკრებულოსა და უნივერსიტეტს შორის სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე და უპასუხა შეკითხვებს.საკრებულოს წევრებისათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა საკონსულტაციო ცენტრის შეთავაზება სამეცნიერო/ანალიტიკური კვლევების შესრულების თაობაზე.წარდგენამ საინტერესოდ ჩაირა, მხარეები სამომავლო თანამშრომლობის თაობაზეც შეთანხმდნენ.უნივერსიტეტში საჯარო მოხელეთა საკონსულტაციო ცენტრი 2016 წელს შეიქმნა, ის სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლების სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლების აერთიანებს.ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში საჯარო მმართველობის ეფექტურ განხორციელებას და საინტერესო/პრობლემურ საკითხებზე საზღაურის გარეშე გაუწიოს კვალიფიციური კონსულტაცია/რეკომენდაცია საჯარო მოხელეებს . საკონსულტაციო ცენტრისაგან ამგვარი კონსულტაციო უკვე მიიღეს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და საჯარო მოხელეებმა. https://gruni.edu.ge/main/news/1551354486 საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურის მოხელეთა საკონსულტაციო ცენტრი განაგრძობს ეფექტურ მუშაობას და საჯარო მოხელეებს საკონსულტაციო მომსახურებას უწევს სამართლებრივ საკითხებთან

	დაკავშირებით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.4	**საექსპერტო მომსახურების გაფართოება სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივლისი, 2019
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კრიმინალისტიკის სწავლებისა და ექსპერტიზის ცენტრი საანგარიშო პერიოდში აგრძელებს ინტენსიურ ექსპერტულ საქმიანობას. ბიზნესადმინისტრირების მიმართულებით შეკვეთა არ ყოფილა. **2019 წლის 27 თებერვალს** თბილისის საკრებულოში გაიმართა გრუნის საკონსულტაციო ცენტრის ოფიციალური წარდგენა. შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები. უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანმა, პროფესორმა ანა ფირცხალაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო გაწეული საქმიანობა, ცენტრის მიზნები. საკონსულტაციო ცენტრისაგან ამგვარი კონსულტაციო უკვე მიიღეს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და საჯარო მოხელეებმა. უნივერსიტეტში საჯარო მოხელეთა საკონსულტაციო ცენტრი 2016 წელს შეიქმნა, ის სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლების სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლების აერთიანებს. https://gruni.edu.ge/main/news/1551354486. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.5	**სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობისთვის უფასო ან შეღავათიანი მომსახურების გაგრძელება უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში**

მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივლისი, 2019
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი და აკადემიური პერსონალი სარგებლობს საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის - „Alma Dental Studio“, 30%-იანი ფასდაკლებით ორთოდონტიულ და სტომატოლოგიურ თერაპიულ მომსახურებაზე, **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად**

აქტივობა 3.3.2	**სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე შემუშავებული სასერტიფიკაციო პროგრამების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ და დოკუმენტაციის ანალიზი. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი თემის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ და დოკუმენტაციის ანალიზი. გამოიკითხნენ: მოსწავლეები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, დეკანები (33)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე, დადგენილია, რომ სასერტიფიკაციო პროგრამებს დაემატა 4 პროგრამა, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სწავლება სხვადასხვა მიმართულებით გაიარა ხუთმა ჯგუფმა. მიმდინარეობს სწავლების პროცესი. http://www.gruni.edu.ge/footer_content/index/337/1447832303 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.1	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა სტუდენტური საცხოვრებლიდან (თბილისი) მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი თემის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა დოკუმენტაციის ანალიზი. გამოიკითხნენ სტუდენტური საცხოვრებლის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირები (7).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სტუდენტთა საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლებით უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა აღარ იგეგმება, ვინაიდან 2019 წლის მაისში განხორციელდა აღნიშნული საცხოვრებლის რეალიზაცია **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 4.1.2	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ქონების გაქირავებისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი /6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	**დოკუმენტაციის ანალიზი.** საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ქონების გაქირავებისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმებით დადგინდა, რომ გრუნის ქონების გაქირავებითა და სხვადასხვა მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2018 წლის მონაცემებით შეადგინა 56 809 ლარი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.3	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა გადამზადების სხვადასხვა პროგრამით მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 30 აგვისტო, 2019
კვლევის მეთოდი	საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის გადამზადების პროგრამებით მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმებით შედეგად, დადგინდა, რომ გრუნის გადამზადების პროგრამებით მიღებულმა შემოსავლებმა 2018 წლის მონაცემებით შეადგინა 37 841 ლარი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.4	**უნივერსიტეტი სარეზერვო ფონდის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივლისი, 2019
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში შეიქმნა უნივერსიტეტის განვითარების სარეზერვო ფონდი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 4.1.5	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ბათუმის წარმომადგენლობის**

	სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლებით
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმებით დადგინდა, რომ გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის საერთო საცხოვრებელი, ძირითადად, გამოყენებულია სალექციო კურსის ჩასატარებლად თბილისიდან ჩასული უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლების დასაბინავებლად, ასევე, ბათუმის წარმომადგენლობაში ჩატარებული კონფერენციებისა და აქტივობების პერიოდში ჩასული სტუმრებისათვის, ანუ ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლი გამოყენებამ უნივერსიტეტის მიზნებისთვის არაპირდაპირ უზრუნველყო უნივერსიტეტის შემოსავლების ზრდა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 4.1.6	**უცხოელი სტუდენტების მიერ მოთხოვნადი პროგრამების შემუშავება და აკრედიტაციის მიღება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი /6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა აღნიშნული საკითხის მოსამზადებლად მიმდინარე სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აკრედიტაციის მიღების მიზნით, მომზადდა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა. ივნისის თვეში, პროგრამა შემოწმდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 1 აგვისტოს, აღნიშნულ პროგრამას მიენიჭა 7-წლიანი აკრედიტაცია.

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 4.2.1	**სტუდენტური საცხოვრებლის (თბილისი) დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის სტუდენტური საცხოვრებლის დასრულებისა და ექსპლოატაციაში მიღების საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საკითხის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ 2019 წლის მაისში განხორციელდა სტუდენტური საცხოვრებლის რეალიზაცია. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 4.2.2	**ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლის, სასადილოსა და ეზოს მოპირკეთების დასრულება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლის, სასადილოსა და ეზოს მოპირკეთებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	წარმომადგენლობამ დაიწყო სტუდენტური საცხოვრებლის, სასადილოსა და ეზოს მოპირკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ.**

აქტივობა 4.4.2	**მართვისა და მისი ეფექტიანობის შეფასების ელექტრონული პლატფორმის შექმნა და დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / ივლისი, 2019
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, დაიწყო მართვისა და მისი ეფექტიანობის შეფასების ელექტრონული პლატფორმის შექმნისა და დანერგვისთვის პარტნიორი კომპანიის მოძიება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 4.4.3	**პროფესიული განვითარების დიფერენცირებული პროგრამების განხორციელება აკადემიური პერსონალისთვის**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, მეცნიერების თანამედროვე ტენდენციებისა და მიდგომების გასაცნობად უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის დღის წესრიგში მუდმივად განიხილება, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პესონალის სწავლების აუცილებლობა და მიღებული გამოცდილების შესაბამისად, სწავლა-სწავლების პროცესის ფორმირება. მომზადებულია და ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პერსონალის პროფესიული განვითარების ტრენინგები: **2018 წლის 11 - 16 ნოემბერს** სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის

	თემაზე ტრენინგი ჩატარდა ბუდაპეშტში, ცენტრის პარტნიორ უნივერსიტეტებში. ტრენინგი მიზნად ისახავდა აღნიშნული თემატიკის შესახებ მონაწილეთა ცოდნის ამაღლებას, ეროვნულ და ინსტიტუციურ კონტექსტში გამოწვევების გაანალიზებას. ტრენინგში მონაწილეობდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ოთხი თანამშრომელი: ვასილ კიკუტაძე - ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანის მოადგილე, ხარისხის მართვის კოორდინატორი; მარიამ წიკლაური - სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურის სპეციალისტი, დასაქმების კოორდინატორი; სოფიო ჯაჭვაძე - ხარისხის მართვის/ECTS კოორდინატორი; ქეთევან გაბრიჭიძე - სამართლის სკოლის ოფისის მენეჯერი. განათლების საერთაშორისო ცენტრის ინიციატივით უკვე ორი წელია იმართება ასეთი ტრენინგები და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი ორივე წელს აქტიურად არის ჩართული. https://gruni.edu.ge/main/news/1542963882 **2019 წლის 19-23 თებერვალს** ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორმა, ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორმა, ზაალ კოკაიამ მედიცინის სკოლის აკადემიური პერსონალისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე "PBL-პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება" პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების აქტიური მეთოდია, რომელიც თანამედროვე სამედიცინო განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ტრენინგის მუშაობაში მონაწილეობდნენ მედიცინის სკოლის პროფესორ-მასწავლებლები, სტომატოლოგიური პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო წილოსანი და მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ზაზა ბერიშვილი. https://gruni.edu.ge/main/news/1551250125 **2019 წლის 27-28 ივნისს** უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგი მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის - *სწავლის შედეგების ფორმირება და შეფასება.* ტრენინგს უძღვებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრის ექსპერტები: მურთაზ კვირკვაია, ვასილ კიკუტაძე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ნინო წილოსანი. მსმენელებს მიესალმა და

	ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესახებ ისაუბრა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ. ტრენინგი მუშაობაში მონაწილეობდა 14 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. https://gruni.edu.ge/main/news/1562220737 **2019 წლის იანვრიდან** უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის სამართლებრივი ტრენინგი მიმდინარეობს. აღნიშნულ პროექტს უნივერსიტეტი ა(ა)იპ დემოკრატიის განვითარების სააგენტოსა და ფრიდრიხ ებერტის ფონდთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის ფარგლებში ახორციელებს. წლის განმავლობაში სოციალურ მუშაკთა რამდენიმე ჯგუფში წარმატებით ჩატარდა ტრენინგი და ტესტირება, რომელსაც უძღვება უნივერსიტეტის პროფესორი, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი ანა ფირცხალაშვილი. ივლისში უნივერსიტეტმა სოციალურ მუშაკთა ახალ ჯგუფს უმასპინძლა. წლის განმავლობაში უნივერსიტეტში სულ 200-ზე მეტი სოციალური მუშაკი გადამზადდება. https://gruni.edu.ge/main/news/1564899393 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.5.1	**საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცეფცია და შესაბამისი საგზაო რუკის შემუშავება და განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი / 1 მარტი, 2019
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. გამოიკითხნენ: მოსწავლეები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, დეკანები(45), მოსმენილ იქნა სამიზნე პოპულაციის მოსაზრებები. შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით ჩამოაყალიბა კონცეპტუალურად განსხვავებული მოდელი, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ მოემსახურება უნივერსიტეტის ხილვადობის გაზრდას. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, მოსწავლეების ინფორმაციულ განვითარებასა და პროფესიულ ორიენტაციას, მეორე მხრივ, სტუდენტთა მოქალაქეობრივი თანაგრძნობის, სოციალური და პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარებას და, მესამე მხრივ, საზოგადოების შემდგომი განვითარების ხელშეწყობას. ამ მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტმა: • შექმნა ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდებისაგან შემდგარი სტუდენტური ლექტორიუმის სახით. აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია და სოციალური პასუხისმგებლობა არის ლექტორიუმის წევრი ახალგაზრდების მთავარი სლოგანი, რათა სტუდენტმა თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს საზოგადოების შემდგომ განვითარებას; • შექმნა უნივერსიტეტის მეგობართა კლუბი, რომელშიც გაერთიანებული არიან მე-10, მე-11, მე-12 კლასების მოსწავლეები და რომლებიც იმთავითვე ჩართული არიან საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მონაწილეობენ პროექტებში, იმიტირებულ პროცესებში, სალექციო-პრაქტიკულ საქმიანობაში, პრესკლუბის გადაცემების მომზადებაში, საზაფხულო სკოლის მუშაობაში და ა. შ. ; • შემოიღო მოსახლეობის საკონსულტაციო/საექსპერტო მომსახურება სტუდენტთა მონაწილეობით სოციალური სუბიექტების სამოქალაქო/სამართლებრივი ცნობიერების განვითარების მიზნით. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებია: ღია კარის დღეები, არაფორმალური განათლების ფესტივალი, საშობაო კვირეულები, მოზარდთა აკადემია „Teen Academy", საზაფხულო სკოლები, საგანამანათლებლო პროექტები მოზარდებისათვის აქტუალურ თემებზე საუბრები მრგვალ მაგიდასთან, კონკურსები, სტუდენტური კონფერენციები, იმიტირებული გამოცდები მოსწავლეებისათვის, საქვემოქმედო აქციები ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად, სოციალური მუშაობის სამართლებრივი ტრენინგები, პროექტი „გაიღე სისხლი-გადაარჩინე სიცოცხლე", პროექტი ფრანკოფონიის დღეები უნივერსიტეტში, მოსახლეობასთან შეხვედრა-კონსულტაციები

	სამოქალაქო სამართლის სხვადსხვა საკითხთან დაკავშირებით და ა. შ. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**